# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 19 ივლისი   1996 №69 (294)   ფასი 40 თეთრი

ATLANTA 96



# XXVI ოლიმპიადის გახსნამდე საათებიღა რჩება

მერაბ რატიშვილი
საქართველოს ოლიმპიური გუნდის პრეს-ატაშე
ატლანტიდან



როცა თქვენ ამ წერილს კითხულობთ, საქართველოს ოლიმპიური გუნდის დანარჩენი წევრებიც ჩამოდიან ატლანტაში და სოფელში ბინავდებიან. ასევე იზამს ის 18 გუნდიც, რომლებიც წუთი-წუთზე უნდა შეუერთდნენ ოლიმპიურ ოჯახს. რამდენიმე საათში კი 26-ე ოლიმპიური თამაშების ოფიციალური გახსნის ცერემონიალია დანიშნული. ოლიმპიადის სტარტის მოახლოება პირველ რიგში ოლიმპიურ სოფელს დაეტყო. თუკი ჩვენი ჩამოსვლის დღეს აქ მხოლოდ 2 ათასი „მოსახლე" იყო, ამჟამად მათი ოდენობა 12 ათასს აღწევს. ამ მომენტისთვის ჩამოსულია 179 ქვეყნის გუნდი, დანარჩენი 18, როგორც მოგახსენეთ, ახლა მოდის. 15 ივლისს აქ ნამდვილი საგიჟეთი იყო. ამ დღეს 53 ქვეყნის 8 ათასი სპორტსმენი შემოსახლდა. რატომ მაინცდამაინც ამ დღეხო, იკითხავთ. იმიტომ, რომ სწორედ 15 ივლისიდან გუნდებს სოფელში უფასოდ შეუძლიათ ცხოვრება. ვინც მანამდე შემოვიდა (მათ შორის საქართველოც), იმან ზედმეტი დღეების ფულიც გადაიხადა.

15 ივლისს საქართველოს ნაკრებს სამი სპორტსმენი შეუერთდა. მსროლელი თამაზ იმნაიშვილი და მოფარიკავე არჩილ ლორთქიფანიძე თბილისიდან ჩამოფრინდნენ, წყალში მხტომელი გოჩა გახარია კი ჯორჯიის შტატისვე ქალაქ მოულტრიდან (სადაც ვარჯიშობდა) ავტომანქანით ჩამოვიდა. ამჟამად ისინი, როგორც მანამდე ჩამოსულები, ინტენსიურად ვარჯიშობენ. აკლიმატიზაციის პრობლემა, ფაქტიურად, გადაჭრილია. ტრავმები არავის აწუხებს, სამაგიეროდ, სამი სპორტსმენი ავადაა. მსროლელ ნინო სალუქვაძეს ორივე ყური ასტკივდა. გამოკვლევამ ყურის ანთება დაადგინა. გუნდის მედპერსონალი ნინოს ანტიბიოტიკებითა და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით მკურნალობს. მოჭიდავე კობა გულიაშვილს ბარძაყი დაუჩირქდა. თავიდან ძირმაგარა ეგონათ, მაგრამ შემდეგ დადგინდა, რომ ეს დაავადება ინფექციამ გამოიწვია. ვარაუდობენ, რომ ყველაფერი კოღოს ნაკბენიდან განვითარდა. მკურნალობა ამ შემთხვევაშიც გეგმაზომიერად მიმდინარეობს. გაგვიცივდა გიორგი რევაზიშვილიც, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ძიუდოში. საერთოდ, გაციება აქ ისე ხშირია, როგორც „კოკა-კოლას" ავტომატი. რა გასაკვირია — ნებისმიერი შენობა კონდიციონერებითაა აღჭურვილი, ისე, რომ შიგნით ცივა, გამოხვალ გარეთ და იმისთანა სიცხეა, ლამისაა მთვარეულივით იბოდიალო. დღეში რამდენჯერმე შესვლა-გამოსვლა და გაციებაც ზედა გაქვს. სხვათა შორის, ამას უკლებლივ ყველა ქვეყნის წარმომადგენლები უჩივიან.

ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულა, ბილეთები კი თითქმის აღარ არის. გახსნაზე და დახურვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ძიუდოზე, 20 ივლისისთვის (როცა მძიმეწონოსნები ჭიდაობენ, მათ შორის დავით ხახალეიშვილიც) ჩვეულებრივ მოქალაქეს ბილეთის ყიდვა აღარ შეუძლია. უეჭველია, გადამყიდველები მაგრად იმუშავებენ, მაგრამ ლიად ვერ ვაჭრობენ. როგორც წინა რეპორტაჟში მოგახსენეთ, ამერიკელი წესრიგის დამცველების თვალს არაფერი ეპარება, ხოლო ატლანტის მერის განკარგულებით გადამყიდველების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

ასევე მკაცრად იქნება დოპინგ-კონტროლის საქმე. გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე სოკ-ის სადოპინგო კომისიის თავმჯდომარემ პრინცმა ალექსანდრ დე მეროდმა მაგიდას სულ მუშტები ურტყა და თვალები აბრიალა, ემანდ არაფერი მიქაროთ, თორემ ოლიმპიადას კი არა, საერთოდ სპორტს დაგავიწყებთო.

სოფელში კი გრძელდება საპატიო ხალხის სტუმრობა. გუშინ კალათბურთელმა დიკემბე მუტომბომ უთვალავი ავტოგრაფი დაარიგა, მეორე დღეს კი „ატლანტა ჰოქსთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გუშინწინ ოლიმპიური სოფლის ინტერნაციონალურ ზონაში გაიმართა საქართველოს დელეგაციის წარდგენისა და სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონიალი. ეს მიღებული წესია და ამგვარ პატივს ყველა ქვეყანას მიაგებენ ხოლმე, რითაც ოლიმპიურ სოფელში მათ ყოფნას აფიქსირებენ. ჩვენებთან ერთად ცერემონიალში მონაწილეობდნენ კუკის კუნძულები, ირლანდია, ლიხტენშტეინი, სომალი და ახალი ზელანდია. ოლიმპიური სოფლის მერმა სცენაზე სხვებთან ერთად მიიწვია საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი და ამის შემდეგ შესრულდა ჩვენი ჰიმნი და დროშაც აღმართეს. ერთი კურიოზი აქაც მოხდა. ლიხტენშტეინის დროშის აწევისას ბრიტანეთის ჰიმნი დაუკრეს. ამ შეცდომას უკლებლივ ყველა მიხვდა, გარდა... იმ კაცისა, ვინც მაგნიტოფონს რთავდა. ამან არ გააჩერა მუსიკა და საწყალ ლიხტენშტეინელებს ჰიმნიც „მოპარა".



# პირველი წრე გავიარეთ!

## დინამო — გრევენმახერი 4:0
## შლემა უონდერერზი — მარგვეთი 1:3

ოთხშაბათს პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში უეფას თასზე ერთდროულად ორმა ჩვენმა საკლუბო გუნდმა მიაღწია გამარჯვებას, რითაც, ფაქტიურად, შემდეგ წრეში გასვლა გაინაღდა. ოფიციალურად მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს თბილისი „დინამო" 23 ივლისს გრევენმახერში გაიფორმებს, „მარგვეთი" კი — მეორე დღეს ზესტაფონში.



## ქინქლაძე 1999 წლამდე „მანჩესტერ სიტიში" იქნება

ამბობს ფრენსის ლი, ვისაც „სარბიელის" კორესპონდენტები მანჩესტერში შეხვდნენ.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

23 ივლისიდან „სარბიელი" გამოვა კვირაში სამჯერ:
სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით

# ატლანტის ოლიმპიური თამაშების პროგრამა. 19 ივლისი - 4 აგვისტო, 1996

| სახეობა | ივლისი | | | | | | | | | | | | | აგვისტო | | | | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 1 | 2 | 3 | 4 | |
| თამაშების გახსნა | • | | | | | | | | | | | | | | | | | |
| წყალში ხტომა | | | | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | | | 4 |
| ცურვა | | • | • | • | • | • | • | • | | | | | | | | | | 32 |
| სინქრონული ცურვა | | | | | | | | | | | | • | | | • | | | 1 |
| წყალბურთი | | • | • | • | • | • | | • | • | • | | | | | | | | 1 |
| მშვილდოსნობა | | | | | | | | | | • | • | • | • | • | • | | | 4 |
| მძლეოსნობა | | | | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | 44 |
| ბადმინტონი | | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | | | | 5 |
| ბეისბოლი | | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | | • | • | | | 1 |
| კალათბურთი | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | 2 |
| კრივი | | • | • | • | • | • | • | • | • | • | | • | • | • | • | • | • | 12 |
| საბაიდარო სლალომი | | | | | | | | • | • | • | | | | | | | | 4 |
| ბაიდარა და კანოე | | | | | | | | | | | | • | • | • | • | • | • | 12 |
| ველოსპორტი | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მთიდან დაშვება | | | | | | | | | | | | • | | | | | | 2 |
| საგზატკეცილო ველორბოლა | | | • | | | | | | | | | | • | | | • | | 4 |
| სატრეკო ველორბოლა | | | | | | • | • | • | • | • | | | | | | | | 8 |
| ცხენოსნობა | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | | • | • | | • | • | 6 |
| ფარიკაობა | | • | • | • | • | • | • | | | | | | | | | | | 10 |
| ფეხბურთი | | • | • | • | • | • | • | | • | • | | | • | • | • | • | | 2 |
| სპორტული ტანვარჯიში | | • | • | • | • | • | • | | | • | • | | | | | | | 14 |
| მხატვრული ტანვარჯიში | | | | | | | | | | | | | | • | • | • | • | 2 |
| ხელბურთი | | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | 2 |
| ბალახის ჰოკეი | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | | | 2 |
| ძიუდო | | • | • | • | • | • | • | | | | | | | | | | | 14 |
| თანამედროვე ხუთჭიდი | | | | | | | | | | | | • | | | | | | 1 |
| აკადემიური ნიჩბოსნობა | | | • | • | • | • | • | • | • | • | | | | | | | | 14 |
| სროლა | | • | • | • | • | • | • | • | • | | | | | | | | | 15 |
| სოფტბოლი | | | • | • | • | • | • | • | • | | • | • | | | | | | 1 |
| პინგ-პონგი | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | | | | 4 |
| ჩოგბურთი | | | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | | 4 |
| პლაჟბურთი | | | | | • | • | • | • | • | • | | | | | | | | 2 |
| ფრენბურთი | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | 2 |
| ძალოსნობა | | • | • | • | • | • | | • | • | • | • | • | | | | | | 10 |
| ჭიდაობა | | • | • | • | • | | | | | | | • | • | • | • | | | 20 |
| აფროსნობა | | | | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | • | | | | 10 |
| თამაშების დახურვა | | | | | | | | | | | | | | | | | • | 271 |

# ქართველები: ვინ როდის?

ქვემოთ შემოთავაზებული ჩვენი სპორტსმენების გამოსვლათა გრაფიკი ზოგ შემთხვევაში, ცხადია, სავარაუდოა: ვინ იცის, რამდენ ბრძოლას ჩაატარებს, ვთქვათ, მოკრივე.

### 20 ივლისი, შაბათი

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| დავით ხახალეიშვილი | მძიმე | წინასწარი, ფინალი |
| **ბერძნულ რომაული ჭიდაობა** | | |
| გელა პაპაშვილი | 48 კგ | წინასწარი |
| ტარიელ მელელაშვილი | 68 კგ | წინასწარი |
| ბაკურ გოგიტიძე | 100 კგ | წინასწარი |
| **კრივი** | | |
| ქართველი მოკრივეები | სხვადასხვა | 1 წრე |
| კენჭისყრის მიხედვით | წონები | |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ინდივიდუალური სავალდებულო | |

### 21 ივლისი, კვირა

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| მელიტონ ლობჟანიძე | 95 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **სროლა** | | |
| ნინო სალუქვაძე | პნევმატური | წინასწარი, ფინალი |
| ნინო უჩაძე | პნევმატური | წინასწარი, ფინალი |
| **ბერძნულ რომაული ჭიდაობა** | | |
| გელა პაპაშვილი | 48 კგ | წინასწარი, ფინალი |
| ტარიელ მელელაშვილი | 68 კგ | წინასწარი, ფინალი |
| ბაკურ გოგიტიძე | 100 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **ფარიკაობა** | | |
| არჩილ ლორთქიფანიძე | ხმალი | წინასწარი, ფინალი |
| **კრივი** | | |
| ქართველი მოკრივეები | სხვადასხვა | 1 წრე |
| კენჭისყრის მიხედვით | წონები | |

### 22 ივლისი, ორშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| გიორგი წმინდაშვილი | 86 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **ბერძნულ რომაული ჭიდაობა** | | |
| კობა გულიაშვილი | 62 კგ | წინასწარი |
| **აფრონსნობა** | | |
| გურამ ბიგანიშვილი | | 1 რბოლა |
| ვლადიმერ გრუზდევი | | |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ინდივიდუალური ნებისმიერი | |
| **კრივი** | | |
| ქართველი მოკრივეები | სხვადასხვა | 1 წრე |
| კენჭისყრის მიხედვით | წონები | 1 წრე |

### 23 ივლისი, სამშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| სოსო ლიპარტიანი | 78 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **ბერძნულ რომაული ჭიდაობა** | | |
| კობა გულიაშვილი | 62 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **აფრონსნობა** | | |
| გურამ ბიგანიშვილი | | 2 რბოლა |
| ვლადიმერ გრუზდევი | | |
| **კრივი** | | |
| ქართველი მოკრივეები | სხვადასხვა | 1 წრე |
| კენჭისყრის მიხედვით | წონები | |

### 24 ივლისი, ოთხშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| ვლადიმერ დგებუაძე | 71 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ინდივიდუალური | |
| **კრივი** | | |
| ქართველი მოკრივეები | სხვადასხვა | 1 წრე |
| კენჭისყრის მიხედვით | წონები | |

### 25 ივლისი, ხუთშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| გიორგი რევაზიშვილი | 65 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **აფრონსნობა** | | |
| გურამ ბიგანიშვილი | | 3 რბოლა |
| ვლადიმერ გრუზდევი | | |
| **კრივი** | | |
| თენგიზ მესხაძე | 67 კგ | 2 წრე |
| გიორგი კანდელაკი | 91 კგ | 2 წრე |

### 26 ივლისი, პარასკევი

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| გიორგი ვაზაგაშვილი | 60 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **სროლა** | | |
| ნინო სალუქვაძე | პნევმატური | წინასწარი, ფინალი |
| ნინო უჩაძე | პნევმატური | წინასწარი, ფინალი |
| თამაზ იმნაშვილი | მრგვალი სტენდი წინასწარი | |
| **ძალოსნობა** | | |
| ზიძინა მიქიაშვილი | 83 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **აფრონსნობა** | | |
| გურამ ბიგანიშვილი | | 4 რბოლა |
| ვლადიმერ გრუზდევი | | |
| **კრივი** | | |
| კობა გოგოლაძე | 60 კგ | 2 წრე |
| აკაკი კაკაურიძე | 75 კგ | 2 წრე |

### 27 ივლისი, შაბათი

| | | |
|---|---|---|
| **სროლა** | | |
| თამაზ იმნაიშვილი | მრგვალი სტენდი წინასწარი, ფინალი | |

### 28 ივლისი, კვირა

| | | |
|---|---|---|
| **მშვილდოსნობა** | | |
| ხათუნა ქვრივიშვილი | წინასწარი | |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ფინალი | |
| **აფრონსნობა** | | |
| გურამ ბიგანიშვილი | | 5 რბოლა |
| ვლადიმერ გრუზდევი | | |
| **კრივი** | | |
| ბესიკ ვარძელაშვილი | 63,5 კგ | 2 წრე |

### 29 ივლისი, ორშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **მშვილდოსნობა** | | |
| ხათუნა ქვრივიშვილი | | 1-32, 1-16 |
| **მძლეოსნობა** | | |
| მაია აზარაშვილი | 200 მ | 1 წრე, 2 წრე |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | | ფინალი |
| **ძალოსნობა** | | |
| მუხრან გოგია | 108 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **აფრონსნობა** | | |
| გურამ ბიგანიშვილი | | 6 რბოლა |
| ვლადიმერ გრუზდევი | | |
| **წყალში ხტომა** | | |
| ნანა ყაზარაშვილი | ტრამპლინი | წინასწარი |
| **კრივი** | | |
| კობა გოგოლაძე | 60 კგ | 3 წრე |
| თენგიზ მესხაძე | 71 კგ | 3 წრე |
| აკაკი კაკაურიძე | 75 კგ | 3 წრე |
| გიორგი კანდელაკი | 91 კგ | 3 წრე |

### 30 ივლისი, სამშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ავთანდილ გოგოლიშვილი | 82 კგ | წინასწარი |
| ზაზა ტყეშელაშვილი | 100 კგ | წინასწარი |
| **თანამედროვე ხუთჭიდი** | | |
| ვახტანგ იაგორაშვილი | | |

### 31 ივლისი, ოთხშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ავთანდილ გოგოლიშვილი | 82 კგ | წინასწარი, ფინალი |
| ზაზა ტყეშელაშვილი | 100 კგ | წინასწარი, ფინალი |
| **წყალში ხტომა** | | |
| ნანა ყაზარაშვილი | ტრამპლინი | ნახევარფინალი, ფინალი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| ხათუნა ქვრივიშვილი | 1-8, ფინალი | |
| **მძლეოსნობა** | | |
| ელვირა ურუსოვა | ბირთვის კვრა | |
| მაია აზარაშვილი | 200 მ | ნახევარფინალი |
| **კრივი** | | |
| ბესიკ ვარძელაშვილი | 63,5 კგ | 3 წრე |

### 1 აგვისტო, ხუთშაბათი

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ელდარ კურტანიძე | 90 კგ | წინასწარი |
| ზაზა თურმანიძე | მძიმე | წინასწარი |
| **მძლეოსნობა** | | |
| მაია აზარაშვილი | 200 მ | ფინალი |
| **წყალში ხტომა** | | |
| გოჩა გახარია | კოშკი | წინასწარი |
| **კრივი** | | |
| კობა გოგოლაძე | 60 კგ | ნახევარფინალი |
| თენგიზ მესხაძე | [illegible]7 კგ | ნახევარფინალი |
| აკაკი კაკაურიძე | 75 კგ | ნახევარფინალი |
| გიორგი კანდელაკი | 91 კგ | ნახევარფინალი |
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ეკა აბრამია | | |

### 2 აგვისტო, პარასკევი

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ელდარ კურტანიძე | 90 კგ | წინასწარი, ფინალი |
| ზაზა თურმანიძე | მძიმე | წინასწარი, ფინალი |
| **წყალში ხტომა** | | |
| გოჩა გახარია | კოშკი | ნახევარფინალი, ფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| ელვირა ურუსოვა | ბირთვის კვრა ფინალი | |
| **კრივი** | | |
| ბესიკ ვარძელაშვილი | 63,5 კგ | ნახევარფინალი |
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ეკა აბრამია | | |

### 3 აგვისტო, შაბათი

| | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| კობა გოგოლაძე | 60 კგ | ფინალი |
| თენგიზ მესხაძე | 71 კგ | ფინალი |
| აკაკი კაკაურიძე | 75 კგ | ფინალი |
| გიორგი კანდელაკი | 91 კგ | ფინალი |
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ეკა აბრამია | | |

### 4 აგვისტო, კვირა

| | | |
|---|---|---|
| **კრივი** | | |
| ბესიკ ვარძელაშვილი | 63,5 კგ | ფინალი |
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| ეკა აბრამია | | |

# ატლანტური ნაირ-ნაირი

ესეც ოლიმპიადა. მსოფლიო სპორტის უდიდესი შეჯიბრება, პლანეტის ათლეტთა უდიდესი თავყრილობა. ახლა ატლანტაში უამრავი ადამიანი, ნაირგვარი ოცნება, ემოცია, ფიქრი თუ სხვა მრავალი რამაა შეზავებული. ამისთვის ემზადებოდნენ, ეს უხარიათ, ამან დაღალა, ეს დაღლის, ეს გაანაწყენებს, ეს გაახარებს...

ახლა რამდენი წვრილ-წვრილი ამბავი ხდება?! ვისაც ყველაფრის ცოდნის და მოყოლის პრეტენზია აქვს, გიჟია. ისე კი, ერთიორი რომ ვახსენოთ, კარგია, საინტერესო.

**ჭამა არა, ის...**

დღეს შედეგისთვის ყველაფერს გაიღებენ. მრავალს კადრულობენ კიდეც. დოპინგიო, მეტოქეზე ზემოქმედებაო, ესაო, ისაო. ყველა ნიუანსს სწავლობენ როდის უნდა დაიძინო, გაიღვიძო, იქონიო სქესობრივი კავშირი და სხვა. ამ საყოველთაო ტვინისჭყლეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კვება. რა უნდა შეჭამო და როდის. მაგალითად, ბევრი კარბოჰიდრატი და ცოტა ცხიმი კარგიაო, ბევრი პროტეინი და ცოტა კარბოჰიდრატი კიდევ უკეთესიო. პოლ სოლტმენმა, სან დიეგოს უნივერსიტეტის ბიოლოგიის პროფესორმა კი აგერ, ოლიმპიადის დაწყებამდე ორიოდ დღით ადრე ნიუიორკში ამერიკის მედიკოსთა ასოციაციის ბრიფინგზე წაიკითხა მოხსენება და დაასკვნა, ჭამას საერთოდ არა აქვს სპორტული შედეგებისთვის მნიშვნელობაო.

— ჯადოსნური კერძი არ არსებობს — განაცხადა მან — მართალია, ყველა მის ძიებაშია, მაგრამ შეჯიბრებაში კარგად გამოხვალ თუ ცუდად, კვებაზე საერთოდ არ არის დამოკიდებული.

სოლტმენმა ზედ მითს მეცნიერულად ჩამოხსნა ნიღაბი და ათლეტებს მადიანი ჭამისკენ მოუწოდა.

**ისრაელი აპროტესტებს**

ოლიმპიადების ისტორიაში პალესტინის პირველ გუნდს ასე ჰქვია: „პალესტინა ატლანტის თამაშებზე". ამის წინააღმდეგ საკატეგორიულად გაილაშქრა ისრაელის ახალმა, არაბთა მიმართ მკაცრი პოლიტიკის მომხრე მთავრობამ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კი ებრაელთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების პროტესტი უარყო.

— არაბთა მხრიდან საქმე გვაქვს სპორტში პოლიტიკის უხეშ ჩარევასთან — განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-ატაშემ დენი შეკმა. ქვეყნის ფედერალურმა კონსულმა ატლანტაში არიმ მეკელმა კვირას სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს წერილი გაუგზავნა. მასში ავტორმა სამარანჩს შესთავაზა პალესტინელთა გუნდისთვის „პალესტინის წარმომადგენლების", „პალესტინის ავტონომიის" ან „პალესტინის დელეგაციის" დარქმევა. პასუხად, სოკ-ის გენერალურმა დირექტორმა ფრანსუა კარარმა განაცხადა: „ასეთი მოთხოვნა, რომელიც უკვე დამტკიცებული სახელის გადარქმევასთანაა დაკავშირებული, ბოლო წამით განპირობებული პოლიტიკური სვლაა".

სოკ-მა პალესტინის ოლიმპიური კომიტეტი 1993 წელს სცნო, მაშინ, როდესაც ისრაელსა და პალესტინელთა შორის დაძაბულობამ იკლო. პალესტინის ოლიმპიური გუნდი კი შედგება სამი მორბენლის, ერთი მოკრივის და რვა ოფიციალური პირისგან.

**მხოლოდ ბრძოლით, ნაღდი ბრძოლით**

ირანის ოლიმპიურმა გუნდმა ორი ძიუდოისტი და ერთი ძალოსანი დასტოვა შინ, რადგან ისინი აკრძალული წამლების მიღებაში ამხილეს. როგორც სამშაბათის „არბარში" ეწერა, ძიუდოისტებმა აბას აბდიმ და მოჰამედ რეზამ, ძალოსან შაჰენ ნასირნიასთან ერთად ვერ გაიარეს დოპინგ-კონტროლი. ექიმებმა მათ აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს. ეს ირანის ოლიმპიურ გუნდში მეორე დოპინგ-სკანდალი გახლდათ. პირველად, აპრილში ორი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გამოიჭირეს. ამგვარად, ირანელებმა 18 სპორტსმენიღა დაიტოვეს. მათ შორისაა მსროლელი ლიდა ფარიმანი, 1979 წლის ისლამური რევოლუციის მერე ოლიმპიადის მონაწილე პირველი ქალი.

**ზანგები ავად არიან?**

ამერიკელმა ექიმებმა ოლიმპიადის დაწყებამდე სამი დღით ადრე, ამერიკის მედიკოსთა ასოციაციის ჟურნალში გამოაქვეყნეს სტატია, სადაც წერენ, რომ ჯანლონით სავსე ახალგაზრდა სპორტსმენთა უეცარი კვდომა უპირატესად მემკვიდრეობით მიღებული გულის დაავადებათა, მოკლედ, გენეტიკის ბრალიაო. თანაც, რაგინდ საკვირველი გეჩვენოთ, ზანგებსა და თეთრკანიანებს შორის ეს უბედურება არათანაბრადაა განაწილებული: 48 პროცენტი ზანგების წილია, თეთრებისა კი მხოლოდ 26.

**დალიეთ ლუდი, არ არის ცუდი**

საქართველო ოფლში იწურება და ძირითადად უხარისხო ლუდს ეტანება. ატლანტაში კი ზოგ ბედნიერს გაუმართლებს ნამდვილად. კონტეინერთა საერთაშორისო ფირმის „ზღვის კონტეინერთა" ძალისხმევით შესაძლო გახდა ჯორჯიის დედაქალაქში ბელგიიდან ოცდაერთი ათასი ლიტრი ლუდის ჩატანა. ახლა [illegible] რა ლუდია? [illegible]და, პირველად ჩვენი წელთაღრიცხვამდე 698 წელს ბერ[illegible] რე საიდუმლო [illegible] ბში ჩამოასხეს და ისე ჩაიტანეს ამერიკაში. ცხადია, ძვირია.

**ჰაიკე ფიქრობს**

სიგრძეზე მხტომელი გერმანელი ჰაიკე დრექსლერი ყველამ იცის. მასზე ამბობდნენ, მუხლის ტრავმის გამო ოლიმპიადაზე ვერ გამოვაო. წინა ოლიმპიადის ჩემპიონმა კი გერმანიის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, 28 ივლისამდე მოვიცდი, ვიფიქრებ, თავს დავაკვირდები და მერე გადავწყვეტ, ვიასპარეზო თუ არაო.

**შტეფი გამოაკლდათ**

გერმანელები ატლანტაში შტეფი გრაფს მოისაკლისებენ. 1988 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და ოთხი წლის წინანდელი ვერცხლის პრიზიორი ქრონიკულმა მუხლის ტრავმამ დაადალატა. არადა, ოქროს უმიზნებდა.

**ძირს კაპობიანკო!**

დინ კაპობიანკო ავსტრალიელი სპრინტერია. იგი დოპინგ-კონტროლზე გაიყვანეს და ორგანიზმში სტანოზოლოლი უპოვნეს. სტანოზოლოლი სწორედ ის წამალია, 1988 წელს სეულში ცნობილი კანადელი ბენ ჯონსონი რომ გაამწარა. ახლა კაპობიანკოს არათუ ოლიმპიადის დატოვება, საერთოდაც ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

**აი, თქვე მამაძაღლებო**

სამი უგანდელი მოკრივე ატლანტიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჯაიანესვილში, მაღაზიაში გამოიჭირეს. გამოიჭირეს კი არა, დაიჭირეს. მათ ბრალად ედებათ ას დოლარიანი ყალბი კუპიურების გავრცელება, თუმცა, ცხადია, ჯერ დასამტკიცებელია, ეს ფული მათი იყო თუ მათაც ასევე შეაჩეჩეს. საქმეს აშშ-ის საიდუმლო სამსახურები იძიებენ.

**სამპრასიც არ იქნება**

ეჰ, ცუდადაა ოლიმპიური ჩოგბურთის საქმე. შტეფი გრაფის ამბის გამოცხადებიდან სულ რამდენიმე საათი იყო გასული, რომ არც პიტ სამპრასი ითამაშებსო, თქვეს. ასე რომ, მსოფლიო კლასიფიკაციის ორი ლიდერი არ იქნება. თავად სამპრასი ფლორიდაში ტელე და კინო საქმიანობით იყო დაკავებული. აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციამ მისი გამოკლება რომ გამოაცხადა. პიტი აქილევსის მყესის ტრავმას გაუწამებია. მას ისედაც მძიმე სეზონი უდგას. წლის დასაწყისში გარდაიცვალა მისი მწვრთნელი ტიმ გალიქსონი და 96-ში ჯერჯერობით დიდი შეჯიბრება ვერ მოიგო.

**თხები, თხები დაკალით**

ატლანტაში, ისევე როგორც მთელს ჯორჯიის შტატში, ახალი კერძია მოდაში. ლაპარაკია თხის ხორცზე. თხის ხორცზე მოთხოვნილება ჯორჯიაში ემიგრანტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა. მანამდე, ძირძველი ამერიკელები ასეთ „უცნაურ" საკვებს არ მიირთმევდნენ. ახლა კი, ინდოელების, ესპანელების, სამხრეთ ამერიკელების და სხვათა მოზღვავებამ კულინარიული სიახლე შვა. ატლანტაში გაიხსნა ათამდე ხორცის მაღაზია, ქალაქში კვირაში ორიათასი თხა იჭმება. ის კი არა, ვაშინგტონიდან ჯორჯიულ ფერმერებს ჭკვიანმა ხალხმა თხების მოშენება ურჩია. მოკლედ, ჯორჯიელები გაიძახიან, ოლიმპიადის სტუმრებს ახალ ჯორჯიულ კერძს დავახვედრებთო.

**კანადა — პორტუგალია 1:1**

10 042 ქომაგის თვალწინ კანადის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც ოთხი 20 წლამდელთა გუნდის მოთამაშე გაეყვანა მინდორზე, პორტუგალიასთან ფრე გაახერხა. 59-ე წუთზე „მონრეალის" ანტონიო კაპასომ ჟოზე დომინგუში წააქცია და ჟოზე კალადომ პენალტით ანგარიში გახსნა, მაგრამ ჩრდილო ამერიკელებმა ფარ-ხმალი არ დაჰყარეს და დუეინ დე როსარიომ, რომელიც „ტორონტოს" ფეხბურთელია, ანგარიში გაქვითა. საგოლე პასი მას სწორედ 20 წლამდელმა პოლ სტალტერიმ მიაწოდა.

**რას ჰქვია, ვერ მოიგებთ!**

ვიეტნამის ოლიმპიურ გუნდში სულ ოთხი სახეობის ექვის წარმომადგენელია. არიან მძლეოსნები, მსროლელი, მოცურავე და ძიუდოისტი. მოცურავე ტრან ჩგოსმა ატლანტაში გამგზავრების წინ განაცხადა, დიდ შედეგს ვერ მივაღწევ, მაგრამ იქნებ ვიეტნამის რეკორდი დავამხოო. მოკლედ, საერთაშორისო წარმატებებს ამ ქვეყნის შვილთაგან არავინ ელის და სწორედ ამიტომაც აღშფოთდა კომუნისტური სახელმწიფოს ახალგაზრდათა მთავარი გაზეთი „ტჰანჰ ნიენი": „...მათ მხოლოდ ის თქვეს, რომ ძალისხმევას არ დაიშურებენ, ესე იგი, თუ ვიეტნამის გუნდი ჩავარდება, ვერაფრისთვის გავაკრიტიკებთ".

# სულ სიცხე ხომ არ იქნება

**დინამო — გრევენმახერი 4:0**

17 ივლისი. თბილისი. ეროვნული სტადიონი

1 ზოიძე
5 მაჭავარიანი
3 ლობჟანიძე 2 ჩხაიძე
4 დიდავა
7 კიკნაძე
9 ცქიტიშვილი
6 გოგიჩაიშვილი 8 ჯამარაული
10 ყიზილაშვილი 11 იაშვილი

9 დიასი 4 ლაუერი
10 ალვერდი
8 სხოლტენი 6 ვილბოა
3 ვოლფი 11 გაისერი
2 ბერი 7 ფანკი
5 ბირსენსი
1 კოხი

შეცვლა: ცქიტიშვილი — 13 კერძევაძე (66), დიასი — 12 შნაიდერი (74), შნაიდერი — 13 იანგბლუტი (75), ჩხაიძე — 16 ზ. ჯელაძე (78), იაშვილი — 15 დ. დემეტრაძე (84), ალვერდი — 14 მექტოუბი (85)
გაფრთხილება: ფანკი, ბერი
1:0, 2:0 იაშვილი (38, 69), 3:0 გოგიჩაიშვილი (77), 4:0 დემეტრაძე (87)
მსაჯი: უ. ჩიმენი (თურქეთი)

სამშაბათ დილით თბილისს ნაწვევი ლუქსემბურგის „გრევენმახერი" „მეტეხში" დაბინავდა და საღამოს ეროვნულ სტადიონზე კიდეც ივარჯიშა. დიდი ვერაფერი სიამოვნება იყო მათი ვარჯიშის ხილვა. გახართობად კი ბევრ რამეს შეამჩნევდა მახვილი თვალი. ლუქსემბურგელები სტადიონს დათქმულ დროზე, 8 საათზე, 15 წუთით ადრე ეწვიენენ. თან წყალიც წამოეღოთ უცნობი ქვეყნის შიშით. უმრავლესობა ახალგაზრდა მოთამაშენი ჩანდნენ. ბევრი საკმარისად მაღალი და ჯანიანი, მაგრამ ბურთთან რომ საკმარისზე მეტად მწყრალად იყვნენ, ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა. მეტსაც გეტყვით. შუა ვარჯიშისას ერთი ტანად ზორბა ფეხბურთელი სარბენ ბილიკთან მივარდა და წყალი მოითხოვა. უხეირო მორაგბეში ვერ გამოარჩევდით, იმას ფეხბურთელისა რა ეცხო. გაგვიგიათ, მეორე დღეს თანაგუნდელთაგან საუკეთესოდ ითამაშა. ახლა კი ვხვდები, რომ გარეგნობას ყოველთვის არ უნდა ენდო. გასაკვირი იყო, ვინ იყო ის წყვილი ქალი, „გრევენმახერს" 3 ჟურნალისტთან ერთად რომ ჩამოჰყვა. ეს დაბალ-მაღალი განუშორებელი ორეული ჩემს ყურადღებას არც მიიქცევდა, მოედნისთვის „საპატიო" წრე იმდენჯერ რომ არ შემოევლო, რამდენჯერაც, მგონი, თვით თბილისის „დინამოს" არ შემოუვლია. ახალდაწყებულ ვარჯიშს დინამოელებიც შემოესწრნენ. ანჩაბაძემ, კიკნაძემ, ხომერიკმა, ჭანტურიამ, დემეტრაძემ და ნემსაძემ ცოტა ხანს ზვერეს მეტოქე და მალევე წავიდნენ. მათი მწვრთნელი დავით ყიფიანი კი დიდი მონდომებითა და ყურადღებით აკვირდებოდა სტუმართა ბროლივით გამჭვირვალე ვარჯიშს და, როგორც ჩანს, ტყუილად არ გარჯილა.

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, თორემ...

შეხვედრას მოულოდნელად ბევრი მაყურებელი დაესწრო. იყო წინასწარ მკითხაობა. ჰა-ჰა, 10 (ათასი) მოვიდეს, რას ამბობ, მეტი მოვაო და სხვა. იმასაც ამბობდნენ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ამ თამაშს როგორ უნდა უყურო, მაგრამ, საბედნიეროდ, იმათ, ვინც სტადიონზე მოსვლა ამ სიცხეშიც არ დაიზარეს, ეტყობა, ყველა დონის ფეხბურთი აინტერესებთ. მითუმეტეს, თუ ჩვენებური გუნდი, თანაც თბილისის „დინამო", საქართველოს ღირსებას იცავს. იყო კიდევ ერთი სტიმულატორი, რამაც მაყურებელთა დიდი ნაწილი თამაშზე მოიყვანა: მატჩის წინა დღეებში ტელევიზია ხალხს აუწყებდა, ბილეთები დროულად შეიძინეთ, 17-ში „დინამოში" ჯამარაული ითამაშებსო. ბევრმა ბილეთში ფულის ხარჯვას მაინც ლობეზე გადაძრომა ამჯობინა. უჭირდათ, ალბათ...

## „სპარტაკ ჩემპიონ"!!!

დასავლეთ ტრიბუნის II იარუსზე, იმ ხალხმრავლობაში, ვიღაც ისეთიც ერია, პირველ ტაიმში უკმაყოფილო „სპარტაკ ჩემპიონი" რომ გაჰყვიროდა. რა „სპარტაკი", რის „სპარტაკი", ბევრი ვერ მიხვდა, მაგრამ, ეტყობა, იმ ბედნიერმა არც ის არ იცოდა, რომ ჩემპიონი „სპარტაკი" კი არა, ვლადიკავკაზელები არიან და არც ის, ამათ გუნდს უკვე „ალანია" რომ ჰქვია. ტრიბუნაზე, მადლობა ღმერთს „დინამოს", „დინამოს" მყვირალნი უფრო ბლომად იხსენ, თუმცა რა, მათ მთელ ნაჯაფარზე უფრო იმ ერთის ჟამიდანჟამ შეძახილი ისმოდა.

მეორე წუთზე რომ გაგვეტანა...

თამაში წუთის დაწყებული იყო, „დინამოს" კარს საფრთხე რომ დაემუქრა. მარცხენა ფრთაზე გაჭრილმა ვოლფმა სხოლტენს კარგი პასი გადააწოდა და მანაც დარტყმა არ დააყოვნა. ბედად ზოიძე ბურთს ადგილზე დახვდა. ვინ რას ფიქრობს, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ეპიზოდზე ვერ იფიქრებდით, აშკარა საგოლეა და გოლიც გარდაუვალიაო, აკი განიმუხტა კიდეც სიტუაცია. მაგრამ მატჩის შემდგომ „გრევენმახერის" მწვრთნელმა ამ მომენტს საგანგებოდ გასტირა: ის გოლი რომ გაგვეტანა, არავინ იცის, რა მოხდებოდაო. ამ ლოგიკით, რატომ „დინამოს" არ უნდა გაეტანა მე-3 წუთზე ის ბურთი, ჯამარულის პასით ყიზილაშვილმა თავი რომ დაჰკრა და კოხმა აილო?

მართალი ვთქვათ, პირველი 15 წუთი „დინამოს" კარგს არაფერს უქადდა. ასეთი დაბნეული 7-გზის ჩემპიონი ჩვენს ჩემპიონატში არ გვინახავს. მცველები, მეტადრე კი დიდავა, საითაც მოუხერხდებოდათ, ბურთს იგერიებდნენ, შუა თუ წინახაზელები კი ერთმანეთთან შეუთანხმებლად თამაშობდნენ. ამ დროში 4-ჯერ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა საჯარიმოში სულის შებერვაზე წაქცეული დინამოელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ თურქი მსაჯები, რომლებიც, ზოგის თქმით, ლატარიაში გვერგნენ, ყურსაც არ იბერტყავდნენ და, მე თუ მკითხავთ, მართალიც იყვნენ.

## იქით ყიზო, აქეთ გოგიჩა

ჩათავდა ტაიმის მესამედი და „დინამომ" თითქოს გამოასწორა თამაში. მარჯვენა ფლანგზე გოგიჩაიშვილმა აიწყვიტა და თავდამსხმელები ჩაწოდებებით მოამარაგა. კახი რომ თავის საუკეთესო ფორმაშია, ეს უცხო სულ არ იყო, მაგრამ სეზონის პირველ მატჩში ასეთი გიჟური სისწრაფე, ასეთი მოულოდნელობა მოულოდნელი გახლდათ. გოგიჩა სისწრაფისა და გონებამახვილობის წყალობით „გრევენმახერის" მარცხენა ფრთის მაკონტროლებელ ვოლფს უმწეო დღეში აგდებდა და ხან თავზე ასვამდა ყიზილაშვილს ბურთს და ხან ზედ ფეხზე იაშვილს. მოულოდნელად კარგად ითამაშა ყიზილაშვილმაც, რომელსაც გასულ სეზონში აშკარად დიდი ჩავარდნა ჰქონდა. იგი ბურთზე თავით იბრძოდა და თუ დასარტყმელ პოზიციაზე არ იდგა, თავითვე თანაგუნდელებს უგდებდა პასებს. გარკვეულწილად პირველ გოლშიც შეუშვალა გუნდს, როცა ჩხაიძეს ბურთი ფლანგზე დაუტოვა და მცველი ცენტრისკენ გაიტყუა. დანარჩენი გიალომ და იაშვილმა იცოდნენ. პირველი საჯარიმოში უპრობლემოდ შევიდა, იაშკას დროულად მიაწოდა და მან ჩაწოლით შეაგდო ბურთი. გოლმა თბილისელები თამაშის იშტაზე მოიყვანა, მაგრამ ტაიმი ისე ჩათავდა, აღარ გაუტანიათ. არადა, ჰქონდათ ამის შანსი იაშვილს ორჯერ და ერთხელაც გოგიჩაიშვილს. პირველმა ორჯერვე ბოლომდე არ იბრძოლა და ცქიტიშვილისა და ჯამარაულის გადაცემებით ვერ იხეირა, გოგიჩაიშვილმა კი ზედ პირითი ხაზიდან უფრო შემოაგდო მეკარის ბაქანზე ბურთი, ვიდრე დაარტყა და იგი ვოლფმა გამოიტანა.

მთელი ამ ხნის მანძილზე სტუმრებმა მხოლოდ ერთი-ორჯერ გამოიჩინეს თავი: ერთხელ თამაშით, ორჯერ კი ჭიდაობით. ამ ჭიდაობისთვის, რომელიც ჯამარაულს გაუმართეს, ფანკი და ბერი ყვითლებით დაისაჯნენ. არც ალვერდი დაუჯილდოებიათ პირითი ხაზის გასწვრივ სახიფათო ჩაწოდებისთვის, რადგან ზოიძემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი.

## რეკორდის ზღვარზე

მეორე ტაიმი „დინამოს" უპირატესობით დაიწყო და ბოლოსკენ ეს უპირატესობა ისე გაიზარდა, რომ ანგარიში ორჯერ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. „დინამოს" შეეძლო, სულ მცირე, 5-ბურთიანი სხვაობით გაემარჯვნა და ევროტურნირზე თავისი რეკორდი დაემყარებინა. ახლა კი მხოლოდ გაიმეორა ოფკ-სთან და „უოტფორდთან" (4:0) მიღწეული შედეგი. არადა, თუ გოლებს არ ჩავთვლით, დინამოელებს სულ მცირე 10 მომენტი ჰქონდათ და აქედან 5 ნაღდად საგოლე. ასეთი ანგარიშით მოგებულ მატჩზე იქნებ უხერხულიც კია „ქართული ფეხბურთის მოურჩენელ სენზე" ანუ საგოლე მომენტების გამოუყენებლობაზე საუბარი, მაგრამ გასატანი რომ უნდა გაიტანო, ეს არ უნდა იყოს სადაო. ვინმემ, შეიძლება, იფიქროს, 4:0-ია, მეტი რაღა უნდა იყოსო. არ არის ეგრე. ისეთ სუსტ გუნდთან, როგორიც „გრევენმახერი" გახლდათ, თვით „დინამოს", აკი გითხარით, ორჯერ მეტი ანგარიშით უნდა მოეგო, სხვა უფრო ძლიერ გუნდებზე რომ არა ვთქვათ. ეს სიტყვები ჩემს ახირებად რომ არ ჩავთვალოთ, თბილისელთა საგოლე მომენტებს მივყვეთ და თავად დარწმუნდებით, რომ არა მხოლოდ 69-ე, 77-ე და 87-ე წუთები იყო ისეთი, გოლი რომ უნდა გასულიყო.

## ჩვენც რომ ყველა გაგვეტანა

ჯერ იყო და, 47-ეზე ჩხაიძის ჩაწოდებულზე იაშვილის დარტყმული მცველს მოხვდა, 48-ეზე გოგიჩაიშვილის პასით ყიზილაშვილმა თავით ააცილა, 2 წუთში მანვე კიკნაძეს კარგად გადააწოდა, მაგრამ მას მცველებმა წაართვეს. წუთის შემდეგ კი დიდავას გადაცემით ჯამარაული მეკარესთან პირისპირ გავიდა, დარტყმული მეკარეს გამოუვარდა, მაგრამ გოჩამ 7 მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. 63-ე წუთზე იაშვილმა ჯამარაულის პასს უხეიროდ დაჰკრა, 66-ეზე კი კიკნაძის გადაცემით კარს გადააცილა. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ყიზილაშვილის შორი დარტყმა მეკარის საკბილო გახდა. 5 წუთში კი კიკნაძის მიერ კოხისთვის თავზე გადაგდებული ბურთი კარსაც გადასცა. 83-ეზე იაშვილმა ჯამარაულის პასის მოჭრა სცადა, მეკარეს გაშლილ ფეხებს შორის ვერ დაურტყა და ჰეთ-თრიქი ველარ გააკეთა. ბოლო წუთზე კი გოგიჩაიშვილის ჩაწოდება ჯამარაულს მეკარემ აუღო.

## ცუდად ხომ მაინც არ დაგვირტყამს

მთლად თავში ხელის საცემადაც რომ არ გვაქვს საქმე, ეს ორჯერ იაშვილმა, გოგიჩაიშვილმა და შეცვლაზე შემოსულმა დემეტრაძემ დაამტკიცეს. ალექსანდრე იაშვილმა ერთი პირველ ტაიმში გაიტანა, ერთიც მეორეში. ეს მეორე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა უჩვეულო ცივსისხლიანობა გამოიჩინა და 69-ე წუთზე ჯამარაულის მიერ მიწოდებული ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო და მერე კარში შეაგორა. ზღაპარი იყო მესამე გოლიც. გოგიჩაიშვილმა იანგბლუტს ბურთი გაუგდო, თავის თავს პასი მისცა, სისწრაფით აჯობა მდევარს და ბურთი კარში ჩასვა. დემეტრაძემაც ისეთი გოლი გაიტანა, როგორიც სჩვევია: 2 მცველი მოატყუა, თან ეს თვალის დახამხამებაში გააკეთა და შეაგდო. ვერაფერს იტყვი. გოლები უნაკლო, ბრწყინვალედ შესრულებული იყო. ამით თუ დავიმშვიდებთ თავს.

## ყიფიანს გული სტკივა

მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენცია უშუქობის გამო საკონფერენციო დარბაზის ჰოლში გაიმართა. ეს, ალბათ, მატჩის დაბალი კვალიფიკაციის გამო მოხდა. არადა, ამ დონეს აშკარად ვერ უთავსდებოდა დინამოელთა მწვრთნელის დავით ყიფიანის მიერ გამოჩენილი პოლიგლოტობა და თარჯიმნის არსებობის მიუხედავად თავად მის მიერვე ინგლისურად ნათარგმნი პასუხები.

ლუქსემბურთელთა მწვრთნელმა ალოიზ იოჰემმა თამაში ასე შეაფასა:

— I ტაიმში კარგად ვითამაშეთ. პირველივე წუთზე გოლის გატანის შანსიც გვქონდა. ეს შესაძლებლობა რომ გამოგვეყენებინა, ალბათ, თამაში სხვაგვარად წარიმართებოდა. მეორე ტაიმს ველარ გავუძელით. ეს ალბათ სიცხის ბრალიც იყო. ყველაფერი კი 70-ე წუთზე გაშვებულმა გოლმა გადაწყვიტა.



იაშკა და ყიზო: ამის აცილება იქნებოდა?

თამაშის შეფასებას დავით ყიფიანმა თავისი გულისტკივილი წარუმძღვარა:

— ზოგიერთი უტვინო, ტრიბუნაზე რომ ზის, უნდა ჩამოიყვანო და ამ სიცხეში ათამაშო. ეს ბიჭები 17-18 წლისანი არიან და მაქსიმალურად ინდომებენ. შესვენებაზე გასახდელში რომ შევედი, გული მეთუთქებოდა, ბიჭები ტიროდნენ. იმ გულშემატკივრებს არ ესმით, რომ ქომაგობა პირველივე წუთზე იწყება და არა 4:0-ის შემდეგ. ეს ჩემი გულისტკივილია, თორემ ვისაც როგორ უნდა, ისე მოიქცეს.

ზოგიერთი დინამოელის შემადგენლობაში ვერმოხვედრაზე კი ბატონმა დავითმა ასე უპასუხა.

— ჩვენ კალაძე და კუდინოვი გვაკლდნენ. პირველი ტრავმის მერე თანდათან შედის ფორმაში. დიმა კი, ვფიქრობ, 23-ისთვის მზად იქნება. ნემსაძის პრობლემა არ გადაწყდა, „ჰომბურგთან" რაღაც გაურკვევლობაა. მისი „სიტიში" გადასვლის პრობლემა სხვაა და ჩვენთან ყოფნისა სხვა. ნემსაძე დიდი ძალაა და კარგი იქნება, თუ ჩვენთან ითამაშებს. რაც შეეხება ინალიშვილს, იგი 11 კაცში ვერ მოხვდა. 11-ში კი არა, 16 კაცში მოხვედრის საკითხი იდგა... დემეტრაძე რომ შეცვლებზე გამომყავს და გოლები გააქვს, ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი ჩანაფიქრია.

ყიფიანმა განსაკუთრებით გამოჰყო პირველი გოლი და ჩხაიძის თამაში.

— პირველი ბურთი კარგად გავიდა. გიამ (ჩხაიძე) კარგად გადააწოდა. ვფიქრობ, იგი ვარჯიშისა და მონდომების შემდეგ ჩვენს გუნდში ადგილს მყარად დაიკავებს.

„გრევენმახერის" მწვრთნელს დინამოელთა შეფასება რომ სთხოვეს, ასე უპასუხა:

— „დინამო" ძალიან კარგი და ძალიან ახალგაზრდული გუნდია. ძალიან კარგად გამოსდის სიცხეში თამაში.

— სიცხე რომ არ ყოფილიყო, მას მაინც მოგების მეტი შანსი ექნებოდა.

იოჰემი მსაჯობითაც კმაყოფილი იყო, დიდი უკმაყოფილება არც ჯამარაულს გამოუთქვამს, რომელთანაც ცალკე პრესკონფერენცია გაიმართა.

— 4:0-ზე მსაჯობაზე რა უნდა თქვა, თუმცა, 2 პენალტის დადება კი შეეძლო სტუმართა კარში.

— ჩვენი მოგება სამართლიანი კი იყო, მაგრამ მეორე შეხვედრისას რომ ვითამაშებთ და ამ ეტაპიდან გავალთ, საბოლოო შეფასებას მაშინ გავაკეთებ.

გოჩამ ანონსის სახით ერთი სასიამოვნო ამბავიც გვამცნო. 27 ივლისს მე და გოგიჩაიშვილი ინგლისის ერთ-ერთ კლუბში გასასინჯად მივდივართო, თუმცა კლუბის დასახელებისაგან თავი შეიკავა... ჯერ ჩემთვის უცნობიაო. სადღაც პრესკონფერენციის შუაში შუქიც ჩაქრა. ეტყობა, ენერგოკრიზისმა ზავხულშიაც უნდა შეგვახსენოს თავი.

**ვახტანგ ბზიკაძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

**თამაშის მერე დინამოელთა გასახდელში მხიარულება სუფევდა. ირგვლივ მილოცვები და კომპლიმენტები იფრქვეოდა. უეფას თასის პირველ შესარჩევ მატჩში გამარჯვებას ყველა კარგ ხასიათზე დაეყენებინა. ფეხბურთელები კითხვებზე სიამოვნებით პასუხობდნენ. მოკლედ, კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება, მაგრამ მთავარია, ასევე კარგად გაგრძელდეს.**

**პირველად დათო ყიზილაშვილი მოვიხელთეთ: ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი და, ვფიქრობ, ამაში ბევრიც დამეთანხმება, ასეთი ყიზო — გუნდისთვის სასარგებლოდ მოთამაშე და მწვავედაც შემტევი — გულშემატკივრებს კარგა ხანია არ უნახავთ:**

— იყო მომენტები, როცა კვიპროსიდან დაბრუნებული ტრავმებმა გამწვალა და ლამის ფეხბურთზე გული ავიყარე. ვარჯიშებზე ბოლომდე არ ვიხარჯებოდი. კიდევ კარგი დროზე მივხვდი, უფსკრულის პირას რომ ვიდექი და საქმეს სერიოზულად მოვკიდე ხელი. ვფიქრობ, დღეს ურიგოდ არ მითამაშია. ეს ყველაფერი კარგი მომზადების და სერიოზულობის შედეგია, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ არ გინახავთ ნამდვილი ყიზო, ვგრძნობ, რომ ბევრად მეტი შემიძლია, ცოტაც და, ისევ ძველებურად დავიწყებ გოლების გატანას. ისე, დღესაც ძალიან მინდოდა კოხისთვის გოლი გამეტანა, შანსიც მქონდა, მაგრამ თავით დარტყმული ავაცილე. თუმცა, განა მარტო მე — ბევრი კარგი ბურთი გავაფუჭეთ; უფრო ძლიერი და სოლიდური გუნდი ამას არ გვაპატიებს. დღეს „გრევენმახერს" ყველაფერში ვაჯობეთ, მთავარია, გავიმარჯვეთ. კარგია, რომ დასაწყისისთვის ასეთი სუსტი გუნდი შეგვხვდა. გპირდებით, „დინამო" აწი უფრო და უფრო მოუმატებს.

**ყიზილაშვილმა ამის მერე უცხოური კეპი შეისწორა, თავისებურად ჩაიღიმა, გასახდელში დარჩენილებს თვალი ჩაგვიკრა და წავიდა. მეც გოგიჩასკენ გადავინაცვლე. კახამ თავისი საქმე ჩინებულად იცის. თავის ფლანგზე სისხლი გაუშრო ყველას, გოლიც სანაქებო და შესაშური გაიტანა...**

— თავიდან უფრო ძლიერი გუნდი მეგონა ჩვენი დღევანდელი მეტოქე, მაგრამ მერე მივხვდი, რა ბიჭებიც იყვნენ და ჩემს ფლანგზე გავილაღე. არა, ესეთი გუნდები „დინამოს" ვერაფრით მოუგებენ. პირველი 30 წუთი, სანამ ძალა ეყოთ, როგორღაც გვიმკლავდებოდნენ, მაგრამ ამ საწყის პერიოდშიც შეგვეძლო გაგვეტანა, მერე კი უკვე ვერც ინძრეოდნენ. გნებავთ, გოლი რომ შევაგდე, ის მომენტი გავიხსენოთ. ფლანგზე მათი 13 ნომერი რომ მოვატყუე, დავინახე, დერეფანი საკმაო მქონდა, მეც ბურთი შევაგდე და მივყევი. ვიცოდი, იმ მომენტში მთელი ლუქსემბურგი ვერ დამეწეოდა, ორჯერ მეტი მანძილიც რომ მქონოდა გასაქცევი. დანარჩენი კი ყველამ ნახა. ამ მომენტში გოლის გატანას დიდი პროფესიონალობა არ უნდა.

**„დინამოს" დებიუტანტები გია ჩხაიძე და ზვიად ჯელაძე ახალწვეულების კვალობაზე კარგად მოქმედებდნენ:**

— არავითარი ფსიქოლოგიური ტვირთი, არავითარი შებოჭვა; უეფას თასზე ორივეს გვითამაშია და მთლად გამოუცდელები ანუ პიონერები არ ვიყავით.

— უფრო ძლიერად შემეძლო მეთამაშა გვითხრა გიალომ — მაგრამ რატომღაც ბოლო მომენტში ფეხის კუნთები არ მიშვებდა. ეს რომ არა, დაღლას ვერც ვგრძნობდი. ისე, უპრიანი იქნებოდა, უფრო დიდი ანგარიშით მოგვეგო — „გრევენმახერი" ნამდვილად ვერ იყო ძლიერი გუნდი.

**ალექსანდრე იაშვილი რატომღაც იყო გახარებული, გასაგებია: იაშკა ხომ პირველი ორი გოლის ავტორი გახლდათ.**

— პირველ ნახევარში საჭიროზე ნაკლები ვიმოძრავე. ეს თურქი მსაჯიც ნერვებზე მოქმედებდა. მერე კი გამოვფხიზლდი და... ისე, სიმართლე თუ გინდა, ორჯერვე ჩინებული პასი მივიღე. დასანანია, რომ შანსი მესამედაც მქონდა და ვერ გამოვიყენე. ძალიან მოვინდომე, ვფიქრობდი, მეკარეს უშანსოდ დავტოვებ-მეთქი და ავაცილე...

**გიორგი დემეტრაძეს ალბათ ხატზე აქვს დაფიცებული, შეცვლაზე შემოსულმა გოლი აუცილებლად გაიტანოს. თან რა გოლი...**

— ვგრძნობდი, აუცილებლად გავიტანდი. მათი მცველები უკვე ველარ ინძრეოდნენ. როცა ბურთი მივიღე, უკვე ვიცოდი, რაც უნდა მეკეთებინა და ყველაფერი გააზრებულად შევასრულე. ამბობენ, ლამაზად გამოვიდაო. ძალიან მიხარია, რომ გუნდის გამარჯვებაში ჩემი წილიც გავრიე.

**მამუკა კვანტალიანი**



კახი გოგიჩაიშვილს გოლი გაჰქავს

# რა სჯობს ციცქას მოგების მერე

**შლემა — მარგვეთი 1:3**

17 ივლისი. ვალეტა. სტადიონი „ტა-ქალი"

1 ბარი
15 გილეა
5 ნავარო 4 დიმეკა
2 ჩანტერი 3 ბონიჩი
6 სენ-ფურნიე 7 ტერნერი
8 ბუზუტილი
9 მუსკატი 13 მალია

11 ენდელაძე
9 მარლიშვილი
10 ბერიშვილი 7 უკლება 6 ჩომახიძე
8 გეწაძე
4 წერეთელი
2 მაღლაკელიძე 5 ლონდაძე
3 გურიელიძე
1 გვენცაძე

შეცვლა: მარლიშვილი — 13 ქებაძე (60), მუსკატი — 14 მილერი (61), ლონდაძე — 15 კიკნაძე (65), ბერიშვილი — 16 წიკლაური (87)
გაფრთხილება: სენ-ფურნიე, დიმეკა, ქებაძე, ჩომახიძე
0:1 ლონდაძე (23) 1:1 ტერნერი (64 პ), 1:2 ენდელაძე (77), 1:3 უკლება (85)

## მალტა - ცისფერი ლაგუნა

აეროპორტი ქვეყნის ერთგვარი სავიზიტო ბარათია. მეც პირველი შთაბეჭდილება მალტაზე ვალეტის აეროპორტიდან შემექმნა. იგი შემდეგაც არ გაფერმკრთალებულა. ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით ვერ დაიკვეხნის (მდინარეც არ აქვთ) და მაინც, მიუხედავად ამისა, მალტას სიმწვანე და სიკოხტავე არ აკლია. უფრო კაქტუსები და მაგნოლიები სჭარბობს. კუნძულის ერთადერთი სიმდიდრე საშენი ქვა გახლავთ. აი, სწორედ ამ მასალითაა აშენებული თითქმის ყველა სახლი და ნაგებობა. მალტაზე არაბული არქიტექტურის გავლენა იგრძნობა. ვიწრო და სუფთა ქუჩებით ისე გადადიხარ ქალაქიდან ქალაქში, შეიძლება უცხო ქვეყნიდან ჩასულს გზა აგებნეს და უცებ კუნძულის მეორე ბოლოში ამოჰყო თავი. თვითმფრინავიდანაც კარგად ჩანდა, რომ კუნძულზე, ფაქტიურად, არ არსებობს აუთვისებელი მიწა. ქალაქები და დასახლებები მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს და მალტა ერთი დიდი ქალაქი გეგონება. სხვათა შორის, მალტა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. მისი შემოსავლის ძირითად წყაროს ტურიზმი წარმოადგენს. ეს 400 000-იანი ქვეყანა ყოველწლიურად მილიონნახევარ ტურისტს მასპინძლობს.

ჩვენი 49-კაციანი დელეგაცია მალტაში 15 ივლისს, საღამოს რვის ნახევარზე ჩაფრინდა და საკურორტო ქალაქ ბუჯიბაში, „ნიუ დოლმენ ჰოტელში" დაბინავდა. ამ ოთხვარსკვლავიან სასტუმროში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტები ირეოდნენ, ჩვენდა გასაოცრად, რუსებიც მრავლად იყვნენ. მართლაც პატარა ყოფილა ეს სამყარო — მე და რამდენიმე რუს ტურისტს საერთო ნაცნობებიც კი აღმოგვაჩნდა. ქართველების ნახვა უხაროდათ, ჩვენები ვნახეთო — გაიძახოდნენ. (დღესაც თავისიანად გვთვლიან). თბილ სალამს და შეხვედრას რომ არ ვამადლიდით. ალბათ ეგონათ, საბჭოთა კავშირის დაშლაზე გული წყდებათო. გულის დაწყვეტის რა მოგახსენოთ, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო „ახალი რუსების" ხილვა. ასე გვითხრეს, მალტას სახელი ჯერ იმიტომ არ გაჰფუჭებია, რომ თურქეთის, საბერძნეთისა და კვიპროსის მსგავსად რუსებს არ აგვითვისებიაო.

„ნიუ დოლმენ ჰოტელში" ოთხი აუზი და მშვენიერი კორტებია. თამაშამდე აუზს არც მოვცილებივართ. შეიძლება გაიკვირვოთ კიდეც, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის წყალი მხოლოდ ერთხელ, ისიც თავაზიანობის და ცნობისმოყვარეობის გამო გავსინჯე. მალტაზე ნორმალურ პლიაჟს ვერც ნახავთ. კლდოვანი სანაპირო, ჩემი არ იყოს, თითქმის ყველას უკარგავს ზღვაში ჩასვლის ხალისს. ამიტომაც ეტანებოდნენ აუზს დამსვენებლები. აქ უფრო იგრძნობ, რომ ევროპაში ძუძუებამოყრილი ქალები ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას ვინ ჩივის, ცოცხალ სექსს პირდაპირ ქუჩაში წააწყდები. ეტყობა, ეს არის ჩვენთვის, ქართველებისთვის უცხო ხილი — „უკომპლექსობა".

## ბიჭები საქმეს შეუდგნენ

ჩასვლისთანავე „მარგვეთის" ფეხბურთელებს ტა-ქალის სტადიონზე უნდა ევარჯიშათ, მაგრამ რადგან გვიან ჩავფრინდით, ვახშამს ვერ ასწრებდნენ და ამიტომ სასტუმროს კორტებზე მსუბუქადღა წაივარჯიშეს.

მცველ მალხაზ ლონდაძეს ფეხის ტრავმა აწუხებდა და მისი თამაში საეჭვო იყო.

მეორე დღეს მარგველებმა ორჯერ ივარჯიშეს: დილით კორტებზე, საღამოს კი — ტა-ქალის ეროვნულ სტადიონზე ბიჭებს ნერვიულობა შევნიშნე. თუმცა ამას ყველაზე ვერ ვიტყვი. გუნდის ხელმძღვანელობა თავს არ იმშვიდებდა. პრეზიდენტი ვასიკო ხაჭაპურიძე სულ იმეორებდა — ბიჭებო, არ მოგვიყვედეთ — დღეს უბრძოლველად ვერ მოვიგებთო. ეს შეხვედრამაც დაადასტურა.

## მალტელები არ ხუმრობენ

შეხვედრის დასაწყისში უპირატესობა აშკარად მასპინძელთა მხარეს იყო. ბანალური ნათქვამია, მაგრამ ფაქტია — გამოცდილება რომ აკლია ფეხბურთელს, თავის თავს ბოლომდე ვერ ავლენს. „შლემასთან" ჩვენებურებს სწორედ ასე დაემართათ — პირველ წუთებში დაიბნენ, ქაოსურად თამაშობდნენ, ტაქტიკას ვიღა ჩიოდა. ზესტაფონელების ტაქტიკა მარტივი იყო — ბურთის კარიდან რაც შეიძლება შორს მოგერიება. რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთელები შეგნებულად არ მოქმედებდნენ, უბრალოდ, იმ წუთებში ტაქტიკა არ არსებობდა. არადა, ზაურ ჩუბინიძეს ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა — მალტელებს, მისი ვარაუდით, ინგლისელებისთვის დამახასიათებელი ტაქტიკა უნდა აემოქმედებინათ ფლანგების აქტიური ჩართვით, ჩვენებს კი სწორედ ფლანგების ამოკეტვით და ბურთის გაგორებით უნდა მიეღწიათ სასურველი შედეგისთვის. ისე, მთლად ინგლისური სტილით არ უთამაშია მალტის ჩემპიონს, მაგრამ ფლანგებზე რომ დიდი ყურადღება და დატვირთვა მოდიოდა, ფაქტია. მერე მალტელთა შტურმს თანდათანობით მოაკლდა სიმძლავრე და ჩვენებიც დამშვიდდნენ, ბურთი დაიჭირეს. მერეღა გამოჩნდა, რომ „შლემას" დაცვაში საკმაოდ დიდი ბზარები იყო. ზესტაფონელებმა თამაში გაშალეს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა ლევან ბერიშვილისა და ზვიად ენდელაძის თამაში. ისინი პირველივე წუთებიდან დიდ პრობლემებს უქმნიდნენ მასპინძლებს, რომელთა რიგებში ნაკრების ხუთი წევრი გამოდიოდა: მეკარე ბარი, ჩანტერი, ტერნერი, მუსკატი და ყველაზე ცნობილი მალტელი კარმელ ბუზუტილი. პირველი სახიფათო მომენტი მეშვიდე წუთზე შეიქმნა გვენცაძის კართან — სენ ფურნიემ დაარტყა, მაგრამ მარგველმა მეკარემ იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან ჩაწოდებული კი ტერნერმა მიიღო, რომელიც უმეთვალყუროდ დატოვეს, მაგრამ ამან ვერ ისარგებლა და ისე შორს დაარტყა ბურთი, მგონი, ხმელთაშუა ზღვაში გააგზავნა. მე-15 წუთზე კი აშკარა გოლს გადავურჩით. როგორ მოარტყა „შლემას" შავკანიანმა მალიამ ოთხი მეტრიდან ბურთი ძელს, და არა კარში მოათავსა, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ერთი კია, ამან ზესტაფონელები გამოაფხიზლა, ისინი თანდათანობით ჩაერთნენ მწვავე შეტევებში. შეტევებს ისინი ბურთის ფლანგიდან ფლანგზე გადატანით და მოე-



მამუკა უკლება

დნის ცენტრში სწრაფი გადაადგილებით ახორციელებდნენ. ბიჭები ფსიქოლოგიურად განიმუხტნენ და იქით გაუხადეს საქმე შესაშინებლად მასპინძლებს, 23-ე წუთზე კი შოკშიც ჩააგდეს: მეტოქის კომბინაცია მარლიშვილმა ჩაჭრა, ზვიად ენდელაძემ კი საუცხოო გაგრძელება მოიფიქრა. როგორც თამაშის შემდეგ მითხრა, „ანგელოზივით" პასი მისცა ფეხნატკენ, ძირითადში ბოლო მომენტში დაყენებულ მალხაზ ლონდაძეს და თერთმეტი ფეხბურთელისა და ტრიბუნაზე მსხდომი ქართველების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. 23-ე წუთზე ზესტაფონელთა კაპიტანმა პირველი ევროპული გოლი გაიტანა „მარგვეთის" ისტორიაში. პირველ წარმატებას ბერიშვილის კუთხური და წერეთლის კარს ოდნავ აცილებული თაური მოჰყვა. მაგრამ შემდეგ კვლავ იჩინა თავი დაბნეულობამ. მოკლედ რომ ვთქვა, მთელი პირველი ტაიმი უპირატესობის გამოძალვაში მიმდინარეობდა. ამ ჭიდაობაში მაინც ჩვენებმა იმარჯვეს.

## მალტელთა ვენსეჭს ჩვენს ნაკრებთან შეხვედრა სდომებია

შესვენებაზე, ჩვენი კოლეგის, ალეკო ჯობლაძის დახმარებით მალტის ფეხბურთის



ზვიად ენდელაძე

ფედერაციის გენერალური მდივანი ჟოზეფ ალექსანდრ საკო გავიცანი. მან გვითხრა, რომ საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის სურვილი აქვს. ახლა განვიხილავთ ამ მატჩის გამართვის შესაძლებლობას, მაგრამ ჯერჯერობით დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვიო.

## მარგველთა 45 წუთი

უფრო სწორედ, მეორე ტაიმი შედეგით აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მომტანი, თორემ თავიდან ჩემს მტერს, რაც მალტელებმა დაგვაწიეს. მაყურებელთა ყიჟინით გამხნევებულებმა ისეთი შტურმი დაატრიალეს გვენცაძის კართან, რომ ჩვენებს სანერვიულო არ მოკლებიათ. პირველ ტაიმში აქტიურ ბერიშვილს პერსონალური მეურვე მიუჩინეს, მაგრამ სწორედ მაშინ გამოჩნდა ენდელაძის კლასი. მან გუნდის ლიდერობა ითავა. თუმცა თავიდან მას მხარს ვერავინ უბამდა, როგორც მოგახსენეთ, 46-დან 68-ე წუთებამდე მცველებსა და მეკარეს სამუშაო არ მოჰკლებიათ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მალტელთა ნახევარმცველები მილერი, სენ ფურნიე და შავკანიანი თავდამსხმელი ჯორჯ მალია. სწორედ ამათ თავგამოდებით შედეგად გათანაბრდა ანგარიში. ჩვენი მცველები შეცდნენ, უმეთვალყუროდ დატოვეს მეკარის საჯარიმოში მალია, რომელმაც მარჯვენა ფრთიდან მშვენიერი გადაცემა მიიღო და ორი მეტრიდან კარში დაარტყა. არა, გოლი ამ დარტყმას არ მოჰყოლია. არ ვიცი, რა ზებუნებრივი ძალა დაეხმარა იმ წამს ვეფხია გვენცაძეს, მაგრამ ფაქტია, ისეთი ბურთის აღება თვით ყველაზე მაღალი კლასის მეკარესაც კი შეშურდებოდა. ბურთი უკან დაუბრუნდა მალიას და... წაიქცა. ჩვენებურები ამ ზანგს სათოფეზეც არ გაჰკარებიან, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მსაჯმა, რომელმაც მთელი შეხვედრა შესაშური ობიექტურობით ჩაატარა, პენალტი დანიშნა. ეს იყო მისი ერთადერთი და სერიოზული შეცდომა, რომელსაც კარდინალურად შეეძლო მატჩის ბედის შეცვლა. პენალტი ნოელ ტერნერმა კარგად შეასრულა, მართალია, გვენცაძემ კუთხე გამოიცნო, მაგრამ ბურთს ველარ შესწვდა და — 1:1 მასპინძელთა საპასუხო გოლის შემდეგ „მარგვეთში" ცვლილებები მოხდა, რამაც სასიკეთო შედეგი გამოიღო. მარლიშვილის ნაცვლად შემოსულმა ქებაძემ ენდელაძის პოზიცია დაიკავა, ხოლო ზვიადმა უკან დაიხია. ყოველივე ამას [illegible]-
ნლაძის ტრავმაც დაემატა და მისმ[illegible]მეტო-
ვლელმა „ფერომ" (ნოდარ კიკნა[illegible]მადგენ-
დნის ცენტრში საქმის მოწესრი[illegible] ლიგაში
წყო. შედეგიც მალე გამოჩნდა. [illegible]იდით, კა-
მცველთა შეცდომით ისარგებლ[illegible]ქონოდა.
თგანს გასცდა, მეკარესთან პირ[illegible], ჩვენ კი
რჩა და — 2:1 ეს უკვე გამარჯ[illegible]ველი ლი-
სწავლებელი იყო. რაც მთავარ[illegible]ივნულ და
ლები, გულშემატკივრებიცა და [illegible]უზებთ და
ლებიც, მოტყდნენ. ამის შემდეგ [illegible]ვება. ვინ
მითვლია, რამდენი საგოლე მომ[illegible]გოთ. ვფი-
ცუდეთ. მატჩის მიწურულს, 8[illegible]რთელები-
უკლებამ ერთი ასეთი შესაძლ[illegible]ვის, მომა-
წყინვალედ გამოიყენა და ჩვენს[illegible]ძლებლობა
ბას საბოლოო წერტილი და[illegible]თამაშს, რო-
ჩვენმა ქომაგებმა ქალიან-კ[illegible]ბას აღწევს.
ხიანად შესძახეს და თუ ფე[illegible] ნიჭი კიდევ
მოედანზე გაიმარჯვეს, ტ[illegible] და გაისად,
უპირატესობა ჩვენი იყო. რო[illegible]ზონში და-
25-მა კაცმა 3400 მაყურებელ[illegible] ძლიერსა და
ისე, კაცმა რომ თქვას, ბ[illegible] ალჭურვილ
ბა-დიდება ზოგიერთ რეკლა[illegible]დებით, მაშინ
ხელი ჩვენამდეც მოაღწია, [illegible]ევ ერთ-ორ
ლებდა თუ არა ამას, რა მოგა[illegible]
ჩვენიანმა კარგად იხუმრა კ[illegible]რი, „მინჩე-
ლი კი არა, ტილი იყო დღ[illegible]ციოთ ინგ-
თუმცა, ერთი შეხვედრა ყველ[illegible]იერეს გუ-
შეიძლება ჩაუვარდეს და ი[illegible]ლოს, თბო-
მალტელის შეფასებისას. თ[illegible] იყოს, „სი-

„შლემას" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გულწრფელი გარეცება გამოხატა მისი გუნდის ესოდენ სუსტი თამაშის გამო, მართლა ასეთი უსუსურები კი არ არიან, არ მესმის, დღეს რა მოუვიდათო.

## ყურებჩამოყრილი მასპინძლები

**ჯონ გილეა. „შლემა უონდერერზის" მთავარი მწვრთნელი ერთობ ნირწამხდარი გახლდათ. თუმცა ორიოდ სიტყვა მაინც შეგვაწია:**

— დღეს ყველა ასპექტში წავაგეთ. არადა, დასანანია, როგორი ფსიქოლოგიური მომენტი გავუშვით ხელიდან, როდესაც ანგარიში გავათანაბრეთ. თქვენები მეტად ტექნიკურები ჩანდნენ და ამან გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

**სიწყალმა კარმელ ბუზუტილმა — თავის ცოლსა თუ შეყვარებულს ცხვირჩამოშვებული მიყვებოდა:**

— მეორე თამაშისთვის აუცილებლად უნდა შეიცვალოს ტაქტიკა, თორემ სხვაგვარად ვერ გავიმარჯვებთ. მიუხედავად ასეთი მოულოდნელი და მტკივნეული მარცხისა, სხვა რა დაგვრჩენია, ძალები უნდა მოვიკრიბოთ და გამარჯვებაზე ვიფიქროთ. სიმართლე რომ ვთქვა, რუსებისგან ასეთ თამაშს არ ველოდით.

**— ჩვენ რუსები არა ვართ.**

— ბოდიში, შემეშალა, ქართველებისგან. კარგი ფეხბურთელები გყოლიათ.

## ოთხი საათი სამშობლომდე

მოგეხსენებათ, გამარჯვებას აღნიშვნა აშვენებს. ზესტაფონელებმა თავიანთი დღესასწაულის გალამაზება საქართველოდან წაღებული „ციცქათი" მოისურვეს. თვითმფრინავში სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა. აქ უკვე ფეხბურთელები ნაკლებ აქტიურობდნენ, მეტად უფროსობა „ირჯებოდა". რას იზამ, გამარჯვების მიუხედავად, ფეხბურთელს რეჟიმიდან ამოვარდნა არ ეგების. ჩემს პროფესიას რა ვუთხარი, ჭიქაწეულ კაცს ინტერვიუს რომ მოსთხოვ, მაგრამ საქმეს ხომ ვერ ვუღალატებდი. ზესტაფონელთა პრეზიდენტი ვასიკო ხაჭაპურიძე საზოგადოებას ძლივს გამოვტაცე:

— ხომ გავიმარჯვეთ, ხომ დიდი სიხარულია, მაგრამ ერთი წამითაც არ მავიწყდება, რომ პრობლემები არსებობს. რაც უფრო დიდია წარმატება, მით მეტია პრობლემები. მაგრამ იმიტომაც მოვევლინეთ ამ ქვეყანას, რომ ყველაფრის მოგვარება უნდა შეგვეძლოს.

**ზაურ ჩუბინიძე, „მარგვეთის" მთავარი მწვრთნელი:**

— როდესაც ბიჭები თავდაპირველი ნერვიულობისგან და ფსიქოლოგიური სტრესისგან განთავისუფლდნენ, საკუთარი ძალა ირწმუნეს და ათამაშდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ყველა ჩემი დავალება შეასრულეს, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. რაც არ უნდა იყოს, გავიმარჯვეთ. მიუხედავად წარმატებისა, განმეორებით შეხვედრაში მაინც სიფრთხილე გვმართებს.

თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, დღეს ჩვენ ზესტაფონს კი არა, მთელ საქართველოს წარმოვადგენთ-მეთქი. ეს რომ გაიცნობიერეს, მათ თამაშშიც გამოჩნდა. მათ გამარჯვება ღირსეულად, თავდადებული ბრძოლით მოიპოვეს.

**ვეფხია გვენცაძემ თავი არ დაზო[illegible] სწორედ მისი წყალობაა, ? [illegible] ბმა ბევრი უსიამოვნება რ[illegible]ა „მანჩე-**

— 1:1-ზე, მაშინ[illegible] ორი დაახ-

ლებმა ნამდ[illegible]ვარი ძალის თავდამ-ა[illegible]ყავს: **ქუინი და გერმანელი როსლერი. როგორ აპირებთ ამ სამეულის გამოყენებას?**

— მომავალ სეზონში ჩვენი მთავარი ფორვარდი ყაველაშვილია. იმედი მაქვს, რომ იგი თავს გაართმევს დაკისრებულ ამოცანას და ამოავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ბოლო სეზონში ჩვენი აქილევსის ქუსლი იყო — დაბალ შედეგიანობას ვგულისხმობ. წლეულს ყაველაშვილს ბედმაც უმუხთლა: აქ „მეინ როუდზე", „მანჩესტერ იუნაიტედს" რომ ვმასპინძლობდით, მან ერთი გოლი გაიტანა, მეორე ტაიმში კი სულ ახლო მანძილიდან სახეში მოარტყა ბურთი შმაიხელს. ეს ბურთიც რომ შესულიყო, მატჩს მოვიგებდით და „სიტის" ქომაგები ყაველაშვილს ეროვნულ გმირად შერაცხავდნენ. ახლა ცოტა ხანს ლოდინი მოუწევს, სანამ „მეინ როუდზე" ეროვნული გმირი გახდებოდეს.

**— ყაველაშვილამდე, რამდენადაც ვიცით, შოთა არველაძის ჩამოყვანას ფიქრობდით...**

— სურვილი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ შოთას, როგორც ჩანს, თურქეთის დატოვება არ უნდა. მის სანახავად წავედი კიდეც სტამბოლში, „გალათასარაისა" და „ტრაბზონსფორის" მატჩს დავესწარი. კოკისპირულად წვიმდა და სულ მთლად გავილუმპე, შოთამ გადაუხურავ ადგილზე მომცა ბილეთი. თამაში მეტად ულიმღამო გამოდგა და 0:0 დამთავრდა. მაგრამ შოთას ნიჭი ამ თამაშშიც გამოჩნდა. ჩემი აზრით, თურქეთში იგი უქმად კარგავს დროს. შო-

**მერაბ მამულაშვილი**

**ლა-ვალეტადან**



**ზესტაფონელთა ფეხნატკენმა კაპიტანმა კლუბის ისტორიაში უკვე დაიმკვიდრა ადგილი. მალხაზ ლონდაძემ საერთაშორისო შეხვედრებში „მარგვეთის" გოლების ანგარიში გახსნა:**

— ეს გოლი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბედნიერი ვარ, რომ ამ გამარჯვებაში წილი დავიდე.

**ზვიად ენდელაძემაც თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ პირველი წრის შემდეგ იგი მაინც ეთხოვება გუნდს.**

**ლევან ბერიშვილი ნამდვილ აღმოჩენად იქცა ჩვენი დელეგაციისთვის.**



მალხაზ ლონდაძე

**საკმაოდ თავხედი მოედინ[ე] (კარგი გაგებით) დრიბლინგების კასკადს უტარებდა თავრეტდასხმულ მასპინძლებს:**

— მეც ორი ფეხი მაქვს და მათაც. აბა, რატომ უნდა შემეშინდეს მე ვინმის, თუნდაც სახელიანის? მეორე ტაიმში კუნთი დამეჭიმა, თანაც, მეურვე მომიჩინეს და ისე კარგად ველარ ვითამაშე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოვიგეთ.

**მამუკა წერეთელი:** მსურდა დამემტკიცებინა, შემთხვევითი არ იყო ძირითადში რომ მოვხვდი. ვფიქრობ, „სვარკის" ყურებას, ჩემი ყურება სჯობდა.

## ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრა?

ყოველი უცხო ქვეყნის ნახვის შემდეგ უნებურად პარალელს ავლებ მასა და სამშობლოს შორის. ქვა-ღორღიანი, უწყლო [illegible] უდაბური [illegible] გარკვა [illegible]თი, კოჭ[illegible] დაარტყან კარში, როგორ ძისცენ ოცი. ჩემ დროს ყოველდღე, ხუთი-ექვსი საათის მანძილზე, ბურთს კედელზე ვუკაკუნებდით, მის ფლობას ვსწავლობდით.

მე წილად მხვდა ბედნიერება, მეთამაშა მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელების მხარდამხარ და მათ წინააღმდეგ. და მუდამ მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, დღეს ფეხბურთი უწინდელზე უფრო დინამიური გახდაო. ჩემ დროს იყვნენ მოთამაშეები, ოლიმპიურ თამაშებზე რომ გაგეყვანა, 100 მეტრზე რბენას მოიგებდნენ. მაგრამ მათ, ამავე დროს, ორი, სამი, ოთხი მეტოქის მოტყუება შეეძლოთ. დღეს კი მომავალ ფეხბურთელს ბავშობიდან უჩიჩინებენ: ბურთს მიიღებ თუ არა, თანაგუნდელს პასი უნდა მისცეო. როგორღა უნდა ისწავლოს ბავშმა კაცის მოტყუება? ამიტომაც ხდება, რომ ჩვენს ფეხბურთელებს, უკეთეს შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული „კედლის" გათამაშება თუ შეუძლიათ ხეირიანად. ჩემი დროის დიდი ფეხბურთელები — სამხრეთამერიკელებიც და ევროპელებიც — ქუჩაში გაზრდილი ბიჭები იყვნენ. მათ არავინ უკრძალავდა მეტოქის მოტყუებას და მათგან იმიტომაც დადგა ის, რაც დადგა. და სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ფეხბურთელები თამაშს ჭეშმარიტ ზეიმად აქცევდნენ.

**— დიდი მადლობა საუბრისთვის.**

— ჩვენც მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. ვიცი, რომ „მანჩესტერ სიტი" დღეს საქართველოში ინგლისის ყველაზე პოპულარული გუნდია. მე უკვე მოველაპარაკე მერაბ ჟორდანიას, რომ როგორც კი კალენდარში ფანჯარას გამოვძებნით, თბილისში ჩავალთ და ამხანაგურ მატჩს გავმართავთ „დინამოსთან". იქნებ ჩვენც მოვახერხოთ, ფეხბურთი ზეიმად ვაქციოთ.

**დავით კაკაბაძე**

**ზურაბ ფოცხვერია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### ინტერტოტოს გათამაშება. მე-5 ტური

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰაპოელი — შტუტგარტი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| სტანდარდი — ოლბორგი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| ვერდერი — ლინცერი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| იურგორდენი — ტოფტა | 1,05 | 3,6 | 9,0 |
| კეფლავიკი — კოპენჰაგენი | 6,5 | 3,4 | 1,1 |
| აუსტრია — ერებრუ | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| რიედი — შარლერუა | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| სილკებორგი — ქონვი იუნაიტედი | 1,05 | 3,6 | 9,0 |
| ლილესტრიომი — ნანტი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| ჰეერენვენი — კაუნასი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| რენი — ორგრიტე | 1,9 | 3,0 | 2,2 |
| ლუცერნი — სეგესტა | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| შახტიორი — ანთალიასფორი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| როტორი — ბაზელი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| მიუნხენ 1860 — კამაზი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ლ.კ.ს. ლოძი — კაუჩუკი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| დაუგავა — კარლსრუე | 6,5 | 3,4 | 1,1 |
| ჩუკარიჩკი — უნივერსიტატია | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| ლიერსი — გრონინგენი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| გაზიანთებსფორი — ნარვა | 1,05 | 3,6 | 9,0 |
| ცსკა (სოფია) — სტრასბური | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ურალმაში — ქოჩაელისფორი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| გინგამი — ზემუნი | 1,2 | 3,1 | 6,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. გადმოტანილი მატჩი

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალანია — დინამო | 1,6 | 2,6 | 3.6 |

### ატლანტის ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუგალია — ტუნისი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| საფრანგეთი — ავსტრალია | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ესპანეთი — საუდის არაბეთი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| აშშ — არგენტინა | 3,4 | 3,0 | 1,5 |

21 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — მექსიკა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| განა — კორეა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ბრაზილია — იაპონია | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| უნგრეთი — ნიგერია | 3,0 | 3,0 | 1,6 |

### ატლანტის ოლიმპიური თამაშები. კალათბურთი

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრალია — კორეა | 1,2 | 9,0 | 3,5 |
| საბერძნეთი — იუგოსლავია | 2,5 | 9,0 | 1,35 |
| ჩინეთი — ანგოლა | 1,15 | 9,0 | 4,0 |
| ლიტვა — ხორვატია | 2,8 | 9,0 | 1,3 |
| პუერტო-რიკო — ბრაზილია | 2,3 | 9,0 | 1,4 |
| არგენტინა — აშშ | 30,0 | 15,0 | 1,01 |

ოლიმპიური თამაშების ორშაბათის ფსონებს ადგილზე გაეცნობით.

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე**

რებელ... ბა. ჰა-ჰა, ... მოვიდეს, რაც მეტი მოვაო და სხვა. იმასაც ამბობდნენ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ამ თამაშს როგორ უნდა უყურო, მაგრამ, საბედნიეროდ, იმათ, ვინც სტადიონზე მოსვლა ამ სიცხეშიც არ დაიზარეს, ეტყობა, ყველა დონის ფეხბურთი აინტერესებთ. მითუმეტეს, თუ ჩვენებური გუნდი, თანაც თბილისის „დინამო", საქართველოს ღირსებას

CROCO-2

...ციაზე ...უგდებდა ... №44 გოლშიც შეეშ... ბურთი ფლანგზე და... ნტრისკენ გაიტყუა. დანარჩენი ... იაშვილმა იცოდნენ. პირველი საკარი...

...ასი



კახი გოგიჩაიშვილს გოლი გააქვს

გიჩა... მეტრა... ლმა ერთი ... მეორეში. ეს ... ნიშვნის ღირ... ფეხბურთელმ... გამოიჩინა და ... ერ მიწოდებუ... დაუგდო და მ... იყო მესამე გ... ნგბლუტს ბურ... სი მისცა, სი... ბურთი კარში... გოლი გაიტან... ლი მოატყუა, ... ში გააკეთა და... გოლები უნაკლ... ბელი იყო. ამით

ყიფიანს...

მატჩის შემდ... უშუქობის გამო ... ჰოლში გაიმართა... ლი კვალიფიკაცი... დონეს აშკარად ... მოელთა მწვრთნე... ერ გამოჩენილი ... მნის არსებობის ... მიერვე ინგლისურ... ლუქსემბურთელ... იოპემმა თამაში ა... — I ტაიმში კ...

## ფეხბურთი

### ახალმა პრეზიდენტმა ახალი მწვრთნელი მიიყვანა

გორის „დილას" ახალი პრეზიდენტი მოევლინა — ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ორბის" დირექტორი გ... რევაზიშვილი, რომელიც „დილას" საერთო კრებაზე აირჩიეს. აი, რა გვითხრა ბატონმა გიამ: „პრეზიდენტის არჩევისას ფეხბურთელებმა და გუნდის წევრებმა ჩემს კანდიდატურას დაუჭირეს მხარი. რაიონის ხელმძღვანელობაც გვერდში ამოგვიდგა. გუნდის ვიცე-პრეზიდენტი კი იქნება ალბერტ ბადური, ჩვენი გუნდის ამჟამინდელი სპონსორი. ჩვენი სურვილი „დილას" გაძლიერება და ლიდერებში შესვლაა, გახლავთ.

გუნდს ახალი მწვრთნელიც ჰყავს — ნიკა ამირეჯიბი, რომელიც საქმეს სამშაბათიდან შეუდგა. რამდენიმე ფეხბურთელიც დავიმატეთ თბილისიდან, მაგრამ მათ გვარებს მოგვიანებით გამოვაცხადებთ."

— **ხორგუაშვილის საქმე როგორ არის? მას „დინამო" და „მარგვეთი" იწვევდა. ბოლოს კი საბერძნეთში წასულა...**

— მართალია, იგი ახლა საბერძნეთშია, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, კვლავ დაგვიბრუნდეს.

— **კიდევ რა ცვლილებებია „დილაში"?**

— მარლიშვილი და ფეზუაშვილი უეფას თასზე „მარგვეთს" შეეშველებიან და შემდეგ ისევ დაგვიბრუნდებიან. „მარგვეთში" კიდევ ორი ჩვენი ფეხბურთელი — თარხნიშვილი და ბალაშვილი გასინჯეს, მაგრამ ისინი უკვე დაგვიბრუნდნენ.

— **ბოლოს იქნებ „დილას" ფინანსური მდგომარეობაზეც გვითხრათ...**

— დღემდე ძლიერ გვიჭირდა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ვითარება შეიცვლება და წლეულს ფეხზე დავდგებით.

# ჩიქოვანი მიდის?

რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს, ბათუმელთა ერთ-ერთი ლიდერი გასულ სეზონში გოჩა ჩიქოვანი ფეხბურთიდან წასვლას აპირებს. არადა, შარშანდელი სეზონი ბათუმელთა ლიბეროსთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო, და მაშინ, როცა ფორმის პიკს მიაღწია, მოულოდნელად განაცხადა — ფეხბურთიდან მივდივარო.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ წინა ჩემპიონატის დასრულებისთანავე ფეხბურთელთა ნაწილს და გოჩა ჩიქოვანსაც „ბათუმთან" კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა. გუნდის პრეზიდენტს თავისი პირობები წაუყენა.

— მე და ჩელებაძემ თბილისში დავთქვით, რომ ჩემს მიერ შეთავაზებულ პირობებზე სეზონისთვის მზადების დაწყებისთანავე, ესე იგი, ჩემი ბათუმში ჩასვლისას მოგველაპარაკა, — ამბობს გოჩა. — ბათუმში კი უარი მითხრეს ჩემი პირობების დაკმაყოფილებაზე — გუნდს ამის შესაძლებლობა არ აქვსო. მაგრამ ეს ზედაპირული მიზეზებია და ამის უკან რა იმალება, ვერ გეტყვით.

— **იქნებ კომპრომისზე წასულიყავი და გუნდს თასების თასზე მაინც შეშველებოდი?**

— ყველანაირ კომპრომისზე თანახმა ვიყავი, რადგანაც საქართველოს მხოლოდ ორ გუნდში — „დინამოსა" და „ბათუმში" მითამაშია და სხვაგან გადასვლის სურვილი არც გამჩენია. მაგრამ ჩემთვის არავის უთხოვია, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ, იქნებ შევთანხმდეთო. „ბათუმს" თუ არ ვჭირდები, იქით ხომ არ დავუწყებ ხვეწნას — წამიყვანეთ და მათამაშეთ-მეთქი? ახალ მთავარ მწვრთნელსაც არ მოუკლავს თავი. ჰოდა, ავდექი და წამოვედი. ვგრძნობდი, საქმე მარტო პირობების შესრულება-არშესრულება არ იყო. ეტყობა, სხვა მიზეზებიც არსებობდა.

— **„ბათუმისა" და „დინამოს" გარდა არსად ვითამაშებო. აბა, რას აპირებ?**

— ახლახანს მენეჯერი დამიკავშირდა და გერმანიაში გადასვლა შემომთავაზა. მაგრამ, სიმართლე რომ ვქთვა, იქით გული არ მიმიწევს. თანაც, მეგობრებმა კარგი საქმე შემომთავაზეს და ალბათ ფეხბურთთან განშორება მომიწევს. ფეხბურთიდან წასვლით ცხოვრებას არ ვამთავრებ. ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას ვიწყებ.

— **ბოლო ხანს ფეხბურთელთა კარიერის „ჭერი" გაიზარდა. ამიტომ ცოტა უცნაურია, 33 წლის კაცს ფეხბურთიდან წასვლა რომ გინდა. თანაც, შარშან ურიგოდ არ გითამაშია...**

— „ბათუმში" რომ დავრჩენილიყავი, ერთ-ორი სეზონით კიდევ გავიხანგრძლივებდი კარიერას. მაგრამ, ხომ გითხარით, ვერავის შევნიშნე, ჩემი დარჩენის სურვილი რომ ჰქონოდა. თუმცა რა დასამალია და გული მწყდება — გუნდიდან წამოსვლაზეც და იმაზეც, ფეხბურთს ასე ადრე რომ ვეთხოვები, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

— **მართალია, „დინამოს" ხელმძღვანელობას ჩიქოვანის გადაყვანა სურდაო?**

— ასეთ რამეს მეც მოვკარი ყური, მაგრამ ვერ ვიტყვი, რამდენად მართალია. შესაძლოა, ვიწრო წრეში ითქვა კიდეც ამის შესახებ, თუმცა ჩემთვის არავის არაფერი გაუგებინებია.

— **მწვრთნელობაზე არ გიფიქრია?**

— არა. არც არასოდეს დამიპირებია.

— **რატომ, ფეხბურთმა ასე მოგაბეზრა თავი?**

— თავი მომაბეზრა კი არა, ძალიან მიყვარს. ყოველდღე ბაზაზე დავდივარ და ვვარჯიშობ, მაგრამ მწვრთნელობის რა მოგახსენოთ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი თავი მწვრთნელად ვერ წარმომიდგენია. შესაძლოა დროის გასვლასთან ერთად აზრიც შემეცვალოს, მაგრამ ახლა სხვაგვარად ვფიქრობ.

— **რახან წასვლა გადაგიწყვეტია, იქნებ ისიც თქვა, როგორი განცდებით მიდიხარ — დადებითი სჭარბობს თუ უარყოფითი?**

— რა თქმა უნდა, კარგი მეტი მახსოვს. ფეხბურთმა უამრავი მეგობარი შემძინა. ამ წრეში ბევრი წესიერი და გულისხმიერი ადამიანია. ფეხბურთელთა უმრავლესობა პატიოსანი, ჯენტლმენი და ვაჟკაცია. ამიტომ ფეხბურთთან განშორება ჩემთვის მტკივნეულია. მაგრამ ცხოვრება გრძელდება და მეც ახალ ვითარებასთან შეგუება მომიწევს.

— **თქვენ ხშირად გადადიოდით გუნდიდან გუნდში. ამან უარყოფითად ხომ არ იმოქმედა თქვენს კარიერაზე?**

— არც უამისობაა. 1984 წელს, როდესაც „ბათუმში" გადავედი, ყიფიანი ხშირად მიბარებდა, „დინამოში" გადასვლას მირჩევდა, მესაუბრებოდა, ჩემთვის კარგი უნდოდა. მაგრამ 21 წლის ბიჭს ყველაფერის წინასწარ განსაზღვრა და გათვლა არ შემეძლო. თანაც, გული ბათუმისკენ მიმიწევდა, ვარჯიშებს გულს დიდად ვერ ვუდებდი და ბოლოს, ყიფიანის რჩევის მიუხედავად, მაინც ბათუმში წასვლა გადავწყვიტე მეორედაც მიმიწვია ყიფიანმა „დინამოში" — 1989 წელს. მოკლედ, ჩემი ქალაქიდან ქალაქში გადაადგილების არეალი თბილისითა და ბათუმით შემოისაზღვრებოდა.

— **„ბათუმის" და „დინამოს" რომელი თაობის გუნდს გამოარჩევდი?**

— 1988 წელს, I ლიგის პირობაზე, ბათუმს მართლაც კარგი გუნდი ჰყავდა. მაშინ ყოფილი დინამოელები — ქვანია, კაკილაშვილი, ბარათაშვილი, მეშკოვი დაიმატეს და კარგადაც ვთამაშობდით.

მეორედ რომ „დინამოში" მივედი 1989 წელს, გაახალგაზრდავებული პერსპექტიული გუნდი დამხვდა. 1989-91 წლების „დინამო" ბევრი რამით იყო გამორჩეული. ყველა აღნიშნავდა, ასეთი შეკრული თბილისის „დინამო" არ გვახსოვსო. ბიჭები ოჯახებით ვმეგობრობდით და ერთმანეთის გატანაც შეგვეძლო — მოედანზეც და ცხოვრებაშიც. ეს ორი რამ ხომ ერთმანეთისგან განუყოფელია. სწორედ მაშინდელი „დინამოდან" წამოიზარდნენ ნაკრების ამჟამინდელი წევრები, ჩვენი ლეგიონერები.

ამ წლების მანძილზე ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია. ბათუმში თავდაპირველად ლერი ვერულიძემ მიმიწვია. ჭეიშვილთანაც მითამაშია, ნოდიასთანაც. განსაკუთრებით მაინც ყიფიანი და ძოძუაშვილი უნდა აღვნიშნო. ამ ადამიანებს ფეხბურთი ფანატიკურად უყვართ.

არ გეგონოთ, თითქოს ვალერიან ჩხარტიშვილი გამომრჩა. ამ კაცმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მის პროფესიონალიზმს აფასებენ და საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევენ. მეც ასე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, მწვრთნელის მოხსნა და დანიშვნა გუნდის ხელმძღვანელთა საქმეა, მაგრამ მისი გუნდიდან გაშვება არასწორად მიმაჩნია. „ბათუმს" ნორმალური მოსამზადებელი პირობები არ ჰქონია და, თუ ამას გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, რომ ჩხარტიშვილმა გასულ სეზონში შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწია. ბოლოს და ბოლოს, გუნდი მეორედ გაიყვანა თასების თასზე. ასე რომ, იგი, ჩემი აზრით, გაშვებას არ იმსახურებდა.

— **ზოგიერთი თვლიდა, რომ ჩხარტიშვილი რაიმე არჩევანის გაკეთებისას ზედმეტად სუბიექტური იყოო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ყველა მწვრთნელს თავისი მოსაზრება გააჩნია ამა თუ იმ საკითხზე, ტაქტიკაზე და შესაფერისი ფეხბურთელების არჩევაზე. მაგრამ არცერთხელ შემინიშნავს, რომ ჩხარტიშვილს ვინმე აეთვალისწუნებინოს. კონკრეტული მატჩისთვის იგი ზუსტად იმ მოთამაშეს აირჩევდა, ვინც იმ დღეს უკეთ იყო მომზადებული. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია. გული მწყდება, ახლა ეს კაცი უმუშევრად რომ დადის.

— **ბოლოს ისევ შენს კარიერას დავუბრუნდეთ. რა მიგაჩნია შენს ყველაზე დიდ შეცდომად?**

— „დინამოდან" 1984 წელს წამოსვლა. არადა, მირჩევდა ყიფიანი, დარჩი, არ წააგებო. „დინამოზე" ნაწყენი კი არ ვიყავი, უბრალოდ, პირადული მიზეზი მქონდა — აუცილებლად ბათუმში უნდა ვყოფილიყავი. ამ ნაბიჯმა ბევრად დამხია უკან.

**მერაბ მამულაშვილი**

### რუსეთი

მე-17 ტური. ცსკა — ლოკომოტივი 1:3, ლადა — ჩერნომორეცი 1:1, კამაზი — როსტსელმაში 2:7, ნიჟნი ნოვგოროდი — ალანია 1:2, კრილია — ჟემჩუჟინა 2:2, ტექსტილშჩიკი — ბალტიკა 0:2, ურალმაში — როტორი 2:4, სპარტაკი — ზენიტი 0:2, დინამო — ტორპედო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 18 | 13 | 2 | 3 | 33:15 | 41 |
| როტორი | 17 | 11 | 5 | 1 | 29:11 | 38 |
| დინამო | 17 | 10 | 6 | 1 | 27:9 | 36 |
| სპარტაკი | 17 | 10 | 4 | 3 | 31:14 | 34 |
| ცსკა | 17 | 9 | 4 | 4 | 25:16 | 31 |
| ნოვგოროდი | 17 | 8 | 2 | 7 | 18:23 | 26 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 7 | 4 | 20:14 | 25 |
| ზენიტი | 17 | 7 | 4 | 6 | 18:15 | 25 |
| ტორპედო | 17 | 6 | 6 | 5 | 20:20 | 24 |
| როსტსელმაში | 17 | 6 | 4 | 7 | 32:27 | 22 |
| ბალტიკა | 17 | 5 | 7 | 5 | 18:20 | 22 |
| კრილია | 17 | 5 | 6 | 6 | 12:14 | 21 |
| ჟემჩუჟინა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:28 | 19 |
| ჩერნომორეცი | 17 | 3 | 5 | 9 | 16:26 | 14 |
| კამაზი | 18 | 3 | 3 | 12 | 15:32 | 12 |
| ლადა | 17 | 2 | 5 | 10 | 8:26 | 11 |
| ტექსტილშჩიკი | 17 | 1 | 7 | 9 | 8:18 | 11 |
| ურალმაში | 17 | 1 | 5 | 10 | 15:33 | 8 |

# ფრენსის ლი: ქინქლაძე 1999 წლამდე ჩვენია



ფრენსის ლის ევროპის ჩემპიონატის დღეებში შევხვდით. „მანჩესტერ სიტის" თავმჯდომარესთან საუბრამდე უკვე მშვენივრად გვესმოდა, რა ტკივილს მიაყენებდა ამ გუნდის გულშემატკივრებს ქინქლაძის წასვლა, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ: ცხადია, გიო საპირველილიგოდ არავის გვემეტება. თუმცა... ამ ინტერვიუს წამკითხავი თავად დარწმუნდება, რომ ქინქლაძეს მხოლოდ ერთი შანსიღა რჩება პრემიერლიგაში თამაშისა — გუნდთან ერთად დაბრუნება.

**— შორიდან დავიწყოთ. რატომ შეაჩერეთ არჩევანი გიორგი ქინქლაძეზე? თავიდან ბევრი გაკრიტიკებდათ იმისთვის, რომ ყველასათვის უცნობ ფეხბურთელში საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადეთ.**

— გიოს თამაში პირველად უელსის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვნახე. მერე საშუალება მომეცა, „ევროსპორტით" მენახა ნაწყვეტები საქართველოს ნაკრების რამდენიმე შეხვედრისა, რომლებშიც ქინქლაძეც მონაწილეობდა. განმაცვიფრა გიოს თანდაყოლილმა უნარმა, გვერდი აევლო მეტოქისთვის, ბურთის ფლობის გასაოცარი ტექნიკამ. მან მომაგონა ფეხბურთელები, რომლებიც ამ 25 წლის წინათ თამაშობდნენ და რომლებსაც უნარი შესწევდათ, ბუნებრივად, ასე ვთქვათ, უფიქრელად, იქნებ ინსტინქტურადაც კი ემოქმედათ. გადავწყვიტე ჩემი მთავარი სელექციონერი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კოლინ ბელი კარდიფში გამეშვა, სადაც საქართველოს ნაკრები საპასუხო შესარჩევ მატჩში ხვდებოდა უელსის ეროვნულ გუნდს. ქინქლაძემ ის მატჩიც საუცხოოდ ჩაატარა. ამის შემდეგ მოლაპარაკება წამოვიწყეთ თბილისის „დინამოსთან". ძალიან მინდოდა, მაშინვე გაგვეფორმებინა კონტრაქტი, მაგრამ გიო „ბოკა ხუნიორსში" წავიდა, რამაც ძალიან დამწყვიტა გული. როგორც კი შევიტყვეთ, რომ ქინქლაძე სამხრეთი ამერიკიდან შინ დაბრუნდა, მაშინვე განვაახლეთ მოლაპარაკება, რომელიც, საბედნიეროდ, წარმატებით დაგვირგვინდა.

შარშან 12 ივლისს, როცა პრესკონფერენციაზე გამოვაცხადე რამდენი გადავიხადეთ სრულიად უცნობ ფეხბურთელში, ყველამ იფიქრა, ის დროა, ფრენსის ლიმ ფსიქიატრს მიაკითხოსო. მაგრამ მერაბ ჟორდანიამ, თბილისის „დინამოს" პრეზიდენტმა, კიდევ ერთხელ დამიდასტურა თავისი მოსაზრება, რომ ჩვენ საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი შევიძინეთ. ყველას კარგად გვახსოვდა ისიც, რომ თავის დროზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში მრავალი ბრწყინვალე ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა.

მერე სეზონი დაიწყო და დაიწყო ისე, უარესს ვერც კი წარმოიდგენდა კაცი — როგორც გიოსთვის, ისე კლუბისთვის. პირველი 11 მატჩიდან ვერც ერთი ვერ მოვიგეთ. ხალხმა — გულშემატკივრებმაც და გუნდის ზოგმა წევრმაც — თანდათან ეჭვის შეტანა დაიწყო გიოს შესაძლებლობებში. მაგრამ ალან ბოლი და მე ქინქლაძეს მხარში ამოვუდექით, რადგან მშვენივრად ვხედავდით, რომ ეს მისი ნიჭი სრულიად განსაკუთრებულია. გამოჩნდა ერთი-ორი ფეხბურთელი, რომელიც ჩვენთან მოვიდა და ენა მოგვიტანა: ქინქლაძე მინდორზე ამას და ამას არ აკეთებს, ამისა და ამის გაკეთება არ სურსო. მაგრამ ჩვენ იმდენად მტკიცედ გვწამდა გიოს ტალანტისა, რომ ერთი გამოსავალიღა გვრჩებოდა — ეს უკმაყოფილო ფეხბურთელები თავიდან მოგვეცილებინა. ქინქლაძისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ თანდათან ნაყოფიც გამოიღო, მისმა ნიჭმა თანდათან გამობრწყინება იწყო, თუმცა თავიდან ამას უფრო ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სისტემური. პირველი მატჩი, რომელიც გიომ თავიდან ბოლომდე ბრწყინვალედ ჩაატარა, პირველი ლიგის გუნდ „ლესტერ სიტისთან" გამართული შეხვედრა იყო. ამ სათასო მატჩში ქინქლაძემ უმაღლესი დონის თამაში გვიჩვენა, რამაც მას საკუთარი თავის რწმენა შემატა. ამის შემდეგ იგი სულ აუმჯობესებდა თამაშს. ალან ბოლსა და მე არასოდეს შეგვპარვია ეჭვი მის ნიჭსა და შესაძლებლობებში. ორივე ვგრძნობდით, რომ მას განსხვავებული მოპყრობა სჭირდებოდა — როგორც მინდორზე, ისე მის გარეთაც. სერიოზული პრობლემა იყო ენობრივი ბარიერიც. ამიტომ გიოს ჩემი სახლის სიახლოვეს ვუშოვეთ ბინა. ჩემი 30 წლის ვაჟი გერი და მე სულ იმის ცდაში ვიყავით, როგორმე გიოსთვის მიგვეხედა, მისთვის ყოფითი პრობლემების მოგვარებაში შეგვეწყო ხელი. მერე მერაბ ჟორდანიას და და მისი მეგობარიც ჩამოვიდნენ და გიოს ენობრივი ბარიერის გადალახვაში დაეხმარნენ.

**— ამისობაში თუ ისწავლა ინგლისური?**

— გიო ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭია. უკვე თითქმის ყველაფერი ესმის და ცოტას ლაპარაკობს კიდეც. მე ისიც კი ვუთხარი, ჟურნალისტებს ნუ გააგებინებ, რომ ენა ისწავლე-მეთქი. თორემ დაიწყება ჩვეული ამბავი: გიო ერთს იტყვის, პრესა კი სხვას დაწერს. ატყდება ერთი დავიდარაბა რაღაც სისულელეების გამო. ამიტომ ისევ ის სჯობს, ჟურნალისტებს ეგონოთ, რომ გიოს უთარჯიმნოდ ვერ დაელაპარაკებიან. მაშინ იძულებულნი იქნებიან, მხოლოდ მის თამაშზე წერონ.

**— თქვენსა და გიოს შორის ენობრივი ბარიერი აღარ არსებობს?**

— არა, მშვენივრად გვესმის ერთმანეთის. მეტსაც გეტყვით. ერთი პირობა ქართულის სწავლაც კი განვიზრახე. ცხადია, ელემენტარულ სიტყვებს ვგულისხმობ. მანჩესტერში გიოს დედა იყო ჩამოსული და ურთიერთობა გაგვიჭირდა. ჯერ მათ მიგვიპატიჟეს, მერე ჩვენ მოვიწვიეთ და ერთმანეთს წესიერად ვერც კი ველაპარაკებოდით. მეც ვიფიქრე, ქართული ენის თვითმასწავლებელს შევიძენ-მეთქი. მაგრამ მერე გაირკვა, რომ კითხვასაც კი ვერ შევძლებდი — ქართულად დაბეჭდილი ტექსტი რომ დავინახე, მეგონა ხელში ჩინური რესტორნის მენიუ მეჭირა.

**— მოდით, ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ.**

— სიამოვნებით, ოღონდ ჯერ სათქმელს დავამთავრებ. ჩემთვის სრულიად განსაცვიფრებელია ის, თუ როგორ გაუმკლავდა ქინქლაძე ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სირთულეს. ამისთვის იგი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როცა შენი გუნდი თამაშს თამაშზე აგებს, თავად შენ არაფერი გამოგდის, მარტო ხარ უცხო გარემოში, ენა არ იცი, გულისნადებსაც კი ვერავის გაუზიარებ... აი, ასეთ ვითარებაში გიოს აღმოაჩნდა ძალა და ვაჟკაცობა, რომ ეს უმძიმესი ფსიქოლოგიური ტვირთი ეზიდა და თავისი ჭეშმარიტი ძალა გამოევლინა. და სწორედ ეს იყო, რაც მას „მანჩესტერ სიტის" ქომაგებმა დაუფასეს. ამ გუნდში ტრადიციულად იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც სანახაობრივად მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ ასევე ტრადიცია გახლავთ ის, რომ ჩვენი გულშემატკივრები განსაკუთრებით დიდ პატივს სცემენ ვაჟკაცობასა და სპორტულ ჟინს. გიომ მათ ერთიც უჩვენა და მეორეც. პირველი 11-12 მატჩის შემდეგ მისი სწრაფი აღმასვლა დაიწყო. ნახალწლევს მერაბ ჟორდანია ჩამოვიდა და გიოს თამაში რომ ნახა, გაოცდა — ასეთ სწრაფ პროგრესს არ ველოდიო. და ეს წინსვლა გრძელდება. მე სულ იმას ვიმეორებ, ქინქლაძე ჯერ მზა პროდუქტი არ არის-მეთქი. ვფიქრობ, ეს სეზონიც რომ ჩაივლის და გიო 25-ს მიუახლოვდება, მერელა დავინახავთ, ვინ არის ნამდვილი ქინქლაძე. ამ ხნის მანძილზე იგი ბევრ რამეს ისწავლის. ინგლისში მას თამაშის ისეთი ასპექტების გაცნობა მოუხდა, რომელთა შესახებ უწინ არაფერი იცოდა. პირველ ყოვლისა, თამაშის მაღალ ტემპს ვგულისხმობ. თბილისის „დინამოში" რომ დარჩენილიყო, მისი განვითარება ნამდვილად შეფერხდებოდა. ეროვნულ პირველობაში „დინამო" თითქმის ყველა მატჩს იგებს, ხოლო როცა ყველა მატჩს იგებ, სწავლით ვერაფერს სწავლობ. აქ კი ქინქლაძემ ბევრი თამაში წააგო და ბევრიც ისწავლა. ვგრძნობ, რომ ერთ-ორ წელიწადში ქინქლაძისგან ევროპული დონის დიდი ვარსკვლავი დადგება.

**— იგი იმ დროისთვის „მანჩესტერ სიტის" მოთამაშე იქნება?**

— რა თქმა უნდა! მისი კონტრაქტი 1999 წელს იწურება. ესაც რომ არა, არა მგონია, მისი მხრიდან სწორი იყოს დატოვება კლუბისა, სადაც ამდენი მეგობარი და ქომაგი ჰყავს, კლუბისა, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობს მის წინსვლას. აქ ჩამოსვლამდე გიომ ბედი სცადა გერმანიის „ზაარბრიუკენში", არგენტინის „ბოკა ხუნიორსში", იყო ესპანეთშიც, მაგრამ „მანჩესტერ სიტი" ერთადერთი კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც მას საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა აცადა. მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, გიოს ყოველმხრივ შევუწყო ხელი დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში.

**— ალან ბოლიც ასე ფიქრობს?**

— ალან ბოლი ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გამოთქვამდა რწმენას გიოს შესაძლებლობებში. ეს რწმენა ქინქლაძემ მას თავისივე თამაშით განუმტკიცა.

**— თქვენი აზრით, ინგლისი ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთელებსაც და მწვრთნელებსაც გარკვეულ დროს აძლევენ და პირველივე წარუმატებლობის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლს არ დაატეხენ ხოლმე თავს?**

— ძნელი სათქმელია. პირადად მე მწამს, რომ მწვრთნელს, სულ ცოტა, ორი წელი მაინც უნდა მისცე იმისთვის, რომ გუნდი ფეხზე დააყენოს, მოძებნოს და ერთმანეთს შეუხამოს მოთამაშეები. თუ გამუდმებით იცვლი მწვრთნელებს, ასევე გამუდმებით შეიცვლება ერთი მხრივ, ფეხბურთელების, მეორე მხრივ, კლუბის თანამშრომელთა შემადგენლობაც. ასეთ ვითარებაში კი შეუძლებელი ხდება კლუბში მყუდრო, ოჯახური ატმოსფეროს შექმნა, რაც ჩემი აზრით, აუცილებელია წარმატების მისაღწევად. როცა დიდ გამარჯვებაზე ფიქრობ, ამ ფიქრით მარტო ერთი და ორი კაცი კი არ უნდა იყოს გამსჭვალული, არამედ უკლებლივ ყველა — სტადიონის კარისკაცით დაწყებული და კლუბის პრეზიდენტით დამთავრებული.




„მანჩესტერ სიტის" ყოველთვიური ჟურნალის ბოლო ნომრის გარეკანზე „ლივერპულთან" თამაშის მერე დამწუხრებული ფეხბურთელები კი ხატია, მაგრამ წარწერა მეტად ოპტიმისტურია: ჩვენ დავბრუნდებით

**— ხმა დაირხა, თითქოს „არსენალი" ქინქლაძეში შვიდ მილიონ გირვანქა სტერლინგს გთავაზობდით. მართალია?**

— ჭორია. „მანჩესტერ სიტისთვის" არავის მოუმართავს ოფიციალური წინადადებით გიოს ყიდვის თაობაზე. ყველამ კარგად იცის, რომ ქინქლაძეს არავითარ შემთხვევაში არ შეველევი. თუმცა, ტყუილი რომ არ გამომივიდეს, გეტყვით: იყო ერთი ოფიციალური წინადადება აღმოსავლეთი ევროპის ერთი გუნდის მხრიდან. მაგრამ, ცხადია, მისი წარმომადგენელი უარით გავისტუმრე.

**— როგორია „სიტის" სამომავლო გეგმები? ახალი ფეხბურთელების შეძენას ხომ არ აპირებთ?**

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პირველი ლიგის ტურნირში გასამარჯვებლად და პრემიერლიგაში დასაბრუნებლად ახალი ფეხბურთელების შეძენა არ გვჭირდება. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ ლიგაში ძლიერი, მდიდარი ტრადიციების მქონე არაერთი კლუბი ასპარეზობს: „ბირმინგემ სიტი", „ვულვერჰემპტონი", „შეფილდი"... მწამს, რომ ამ შემადგენლობითაც მოვახერხებთ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას. იქიდან არ გავვარდებოდით, კატასტროფული სტარტი რომ არ გვქონოდა. თუმცა ეს ყველაფერი ისტორიაა, ჩვენ კი მომავალზე უნდა ვიფიქროთ. პირველი ლიგის ტურნირის გარდა ჩვენ ეროვნულ და „კოკა კოლას" თასზეც ვიასპარეზებთ და აქაც ვეცდებით წარმატების მოპოვებას. ვინ იცის, იქნებ რომელიმე თასიც მოვიგოთ. ვფიქრობ, ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის და, კერძოდ, ქინქლაძისთვის, მომავალი სეზონი საუკეთესო შესაძლებლობა იქნება, მიეჩვიონ ისეთ გუნდში თამაშს, რომელიც სისტემატურად წარმატებას აღწევს. პირველ ლიგაში ქინქლაძეს ნიჭი კიდევ უფრო სწრაფად გაიფურჩქნება და გაისად, როცა კვლავ უძლიერესთა დივიზიონში დავბრუნდებით, ვიხილავთ უფრო ძლიერსა და საუკეთესო ძალების რწმენით აღჭურვილ გიოს. ხოლო როცა დავბრუნდებით, მაშინ აუცილებლად შევიძენთ კიდევ ერთ-ორ უმაღლესი დონის ოსტატს.

**— აპირებთ თუ არა, „მანჩესტერ სიტი" კვლავ აქციოთ ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად? ბოლოს და ბოლოს, თბილისის „დინამოსი" არ იყოს, „სიტისაც" ხომ მოგებული აქვს თასების მფლობელთა თასი...**

— ამ მხრივ გადამწყვეტი იქნება მომავალი სეზონი, რომელშიც, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, პრემიერლიგაში უნდა დავბრუნდეთ. მერე კი, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე უმაღლესი კლასის ოსტატის მოწვევა გვაქვს განზრახული. ვფიქრობ, სამ-ოთხ წელიწადში „მანჩესტერ სიტი" დიდი ძალა იქნება. გუნდი, რომელიც მინდორზე იქნებ მისმა კაპიტანმა, გიორგი ქინქლაძემ გამოიყვანოს ხოლმე ვინ იცის...

**— ქინქლაძეზე თქვენ მხოლოდ აღმატებით ხარისხში საუბრობთ. არ გეშინიათ, რომ თავში აუვარდება?**

— თავში თუ აუვარდა, ყურის ძირში ისეთს გავულაწუნებ, რომ... (იცინის) ხუმრობა იქით იყოს და, ამგვარი საშიშროება მას არ ემუქრება. პირიქით, მინდა, რაც შეიძლება მეტად ირწმუნოს საკუთარი ძალა, მინდა, რომ მინდორზე გასვლისას საკუთარ თავს მუდამ ეუბნებოდეს, ამ 22 კაცში საუკეთესო მე ვარო. თამაში რომ დამთავრდება, ეს უნდა დაივიწყოს, თორემ სხვაგვარად მართლა შეიძლება თავში აგივარდეს კაცს. მინდორზე კი მუდამ უნდა ცდილობდე, შენს თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცო, რომ საუკეთესო ხარ.

**— ყაველაშვილზე რას იტყვით?**

— ყაველაშვილი ძლიერი ფეხბურთელია. მას მძიმე პერიოდში მოუხდა მანჩესტერში გადმოსვლა და თავიდან, ბუნებრივია, გაუჭირდა კიდეც ახალ პირობებთან შეგუება. მაგრამ ალან ბოლიც და მეც დიდ იმედს ვამყარებთ მასზე. ყაველაშვილი პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს. მომავალ სეზონში მან, ჩემივარაუდით, ოცი გოლი მაინც უნდა გაიტანოს.

**— ყაველაშვილის გარდა „მანჩესტერ სიტის" კიდევ ორი დაახლოებით თანაბარი ძალის თავდამსხმელი ჰყავს: ქუინი და გერმანელი როსლერი. როგორ აპირებთ ამ სამეულის გამოყენებას?**

— მომავალ სეზონში ჩვენი მთავარი ფორვარდი ყაველაშვილია. იმედი მაქვს, რომ იგი თავს გაართმევს დაკისრებულ ამოცანას და ამოავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ბოლო სეზონში ჩვენი აქილევსის ქუსლი იყო — დაბალ შედეგიანობას ვგულისხმობ. წლეულს ყაველაშვილს ბედმაც უმუხთლა: აქ „მეინ როუდზე", „მანჩესტერ იუნაიტედს" რომ ვმასპინძლობდით, მან ერთი გოლი გაიტანა, მეორე ტაიმში კი სულ ახლო მანძილიდან სახეში მოარტყა ბურთი შმაიხელს. ეს ბურთიც რომ შეეგდო, მატჩს მოვიგებდით და „სიტის" ქომაგები ყაველაშვილს ეროვნულ გმირად შერაცხავდნენ. ახლა ცოტა ხანს ლოდინი მოუწევს, სანამ „მეინ როუდზე" ეროვნული გმირი გახდებოდეს.

**— ყაველაშვილამდე, რამდენადაც ვიცით, შოთა არველაძის ჩამოყვანას ფიქრობდით...**

— სურვილი ნამდვილად გვქონდა, მაგრამ შოთას, როგორც ჩანს, თურქეთის დატოვება არ უნდა. მის სანახავად წავედი კიდეც სტამბოლში, „გალათასარაისა" და „ტრაბზონსპორის" მატჩს დავესწარი. კოკისპირულად წვიმდა და სულ მთლად გავილუმპე, შოთამ გადაუხურავ ადგილზე მომცა ბილეთი. თამაში მეტად უღიმღამო გამოდგა და 0:0 დამთავრდა. მაგრამ შოთას ნიჭი ამ თამაშშიც გამოჩნდა. ჩემი აზრით, თურქეთში იგი უქმად კარგავს დროს. შოთა სასწრაფოდ უნდა წამოვიდეს ინგლისში, გერმანიაში ან თუნდაც საფრანგეთში — იქ, სადაც საკუთარ თამაშს დახვეწს. „მანჩესტერ სიტიში" მისი გადმოყვანის იმედი ჯერაც არ გადამიწურავს. ვიცი, რომ მის ტყუპისცალს ტრავმა აწუხებს და „ტრაბზონსპორმა" მას, ამის მიუხედავად, კონტრაქტი გაუგრძელა. მაგრამ მე შოთას ვუთხარი, რომ მისი გადმოსვლის შემთხვევაში არჩილსაც წამოვიყვანდით, მივხედავდით, ვუმკურნალებდით, და მერე, როცა მომჯობინდებოდა, კარგ კლუბსაც მოვუძებნიდით, რადგან ჩვენ თვითონ მინდორზე სამ არაევროკავშირელ უცხოელზე მეტის გამოყვანა დებულებით გვეკრძალება. ასე რომ, ვიმეორებ, შოთა დიდ შეცდომას უშვებს, თურქეთში რომ რჩება. საკუთარი ნიჭი ახლავე თუ არ განავითარა (როგორც ეს გიომ გააკეთა), მერე ამას ველარ მოახერხებს და ველარასოდეს მიაღწევს იმ სიმაღლეებს, მისი ტალანტის პატრონმა რომ უნდა მიაღწიოს.

**— თქვენი შეფასებით, რა ადგილი უკავია ინგლისის პრემიერლიგას ევროპის ეროვნულ ლიგებს შორის?**

— ამ ლიგაში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ბედნიერებაა. ვეჭვობ, იმ ატმოსფეროს, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში რომ სუფევს, რომელიმე სხვა ქვეყნისა შეედრებოდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ვფიქრობ, დროა, გადავსინჯოთ თამაშის ჩვენებური ყაიდა და იგი კონტინენტურს მივუახლოვოთ. ჩვენ მეტისმეტად სწრაფად ვთამაშობთ და, შესაბამისად, მეტ შეცდომასაც ვუშვებთ. ცხადია, რომ რაც უფრო სწრაფ ტემპს ირჩევ, მით უფრო ხშირად კარგავ ბურთს. და როცა მეტოქედ უცხოეთის გუნდი გყავს (კლუბებისა თუ ნაკრებთა დონეზე), უნებლიეთ მომგერიებლის არასახარბიელო როლში აღმოჩნდები ხოლმე. ამიტომ, თუ საერთაშორისო დონეზე სერიოზული წარმატების მიღწევა გსურს, ჩვენს ფეხბურთში მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია უნდა მოვახდინოთ. ბრიტანეთში ფეხბურთელს სამოქმედოდ მეტად მცირე სივრცე აქვს გამოყოფილი, რის გამოც იძულებული ხდება, სწრაფად მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. დანარჩენ ევროპაში ასე არ არის. იქ მოთამაშეს ბურთის მისაღებად და დასამუშავებლად საკმაო დრო აქვს. ჩვენს ქვეყანაში ბოლო 15 წლის მანძილზე თანდათან სულ უფრო იზრდებოდა თამაშის ტემპი, ხოლო მოთამაშის სამოქმედო არეალი, შესაბამისად, სულ უფრო იზღუდებოდა. ჩემი აზრით, ეს აშკარად მცდარი მიმართულება გახლდათ, რომელმაც ტექნიკის დაქვეითებამდე მიგვიყვანა და, ფაქტობრივად, გადააშენა ფეხბურთელის „ჯიში", რომლის წარმომადგენლებითაც ჩვენი ფეხბურთი უწინ ესოდენ მდიდარი იყო. დღეს ინგლისში, სამწუხაროდ, აღარ გვყავს მსოფლიო კლასის მოთამაშეები.

შეიცვალა ვარჯიშის მეთოდიკაც. დღეს 7-8 წლის ბავშვებს ორ გუნდად ვყოფთ და ერთმანეთის წინააღმდეგ ვათამაშებთ, რაც სრულიად დაუშვებელია. მათ აღარავინ ასწავლის, როგორ უნდა გააჩერონ ბურთი, როგორ დაარტყან კარში, როგორ მისცენ პასი. ჩემ დროს ყოველდღე, ხუთი-ექვსი საათის მანძილზე, ბურთს კედელზე ვუკაკუნებდით, მის ფლობას ვსწავლობდით.

მე წილად მხვდა ბედნიერება, მეთამაშა მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი ფეხბურთელების მხარდამხარ და მათ წინააღმდეგ. და მუდამ მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, დღეს ფეხბურთი უწინდელზე უფრო დინამიური გახდაო. ჩემ დროს იყვნენ მოთამაშეები, ოლიმპიურ თამაშებზე რომ გაგვეყვანა, 100 მეტრზე რბენას მოიგებდნენ. მაგრამ მათ, ამავე დროს, ორი, სამი, ოთხი მეტოქის მოტყუება შეეძლოთ. დღეს კი მომავალ ფეხბურთელს ბავშობიდან უჩიჩინებენ: ბურთს მიიღებ თუ არა, თანაგუნდელს პასი უნდა მისცეო. როგორღა უნდა ისწავლოს ბავშმა კაცის მოტყუება? ამიტომაც ხდება, რომ ჩვენს ფეხბურთელებს, უკეთეს შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული „კედლის" გათამაშება თუ შეუძლიათ ხეირიანად. ჩემი დროის დიდი ფეხბურთელები — სამხრეთამერიკელებიც და ევროპელებიც — ქუჩაში გაზრდილი ბიჭები იყვნენ. მათ არავინ უკრძალავდა მეტოქის მოტყუებას და მათგან იმიტომაც დადგა ის, რაც დადგა. და სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ფეხბურთელები თამაშს ჭეშმარიტ ზეიმად აქცევდნენ.

**— დიდი მადლობა საუბრისთვის.**

— ჩვენც მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. ვიცი, რომ „მანჩესტერ სიტი" დღეს საქართველოში ინგლისის ყველაზე პოპულარული გუნდია. მე უკვე მოველაპარაკე მერაბ ჟორდანიას, რომ როგორც კი კალენდარში ფანჯარას გამოვძებნით, თბილისში ჩავალთ და ამხანაგურ მატჩს გავმართავთ „დინამოსთან". იქნებ ჩვენც მოვახერხოთ, ფეხბურთი ზეიმად ვაქციოთ.

**დავით კაკაბაძე**
**ზურაბ ფოცხვერია**

## გოგი ახვლედიანის სვეტი

### მედისონ სკვერის ალორძინება

კვლავ აირია მონასტერი კრივში, კვლავ აღმოჩნდნენ გმირები და კვლავ აურდაურიეს ლას ვეგასისა და ატლანტიკ სიტის დინჯად და შემოსავლიანად მიმდინარე საკრივო ცხოვრებას ნიუ-იორკიდან ჩასცეს ლახვარი. „ტაჯ მოჰოლისა" და „ემ-ჯი-ემ არენის" რინგებს, სადაც ტაისონი და მცირე წონათა ხელმღწიფენი უპრობლემოდ მეფობენ, ხმაურიანად გაეპასუხა ბებერი „მედისონ სკვერ გარდენი", ნიუ-იორკში რომ არის. ბოუ-გოლოტას ჩხუბმა ნიუ-იორკს და აღმოსავლეთ სანაპიროს დიდი კრივი დაუბრუნა. ბრძოლა ჩხუბით კი დამთავრდა, მაგრამ კრივი მშობელ მიწაზე აღმოჩნდა:

და ამიტომ, მცირე ისტორია ნიუ-იორკული კრივისა.

ეჰ, მეგობრებო, 1993 წელს დაიხურა „მედისონ სკვერ გარდენის" კრივის განყოფილება. არც იყო გასაკვირი, რადგან ბოლო დიდი ჩხუბი „მედისონში" 1971 წელს გაიმართა, როცა მუჰამედ ალი და ფრეზერი ერკინენ ერთმანეთს.

მანამდე კი:

1920 წელს, როდესაც უოკერის ცნობილი კანონით ნიუ-იორკსა და მთელს შტატში პროფესიული საკრივო საქმიანობა დაუშვეს, ნიუ-იორკ-სითი დიდ საკრივო ქალაქად იქცა.

დიდი ქალაქის საკრივო საქმე მაშინ ხელთ ეპყრათ დღეს ლეგენდად ქცეულ პრორიუტერებს ტექს რიკარდს და მისი საქმის გამგრძელებელს „ბიძა" მაიკ ჯეკობსს.

ეს იყო ნიუ-იორკის კრივის ოქროს ხანა. ქალაქი სავსე გახლდათ სავარჯიშო სარდაფებით, კლუბებით და თვით მოკრივეებით. ამერიკის არცერთ ქალაქს არ ჰყავდა უბრალოდ ამდენი და ამდენი კარგი მოკრივე. ერთ შაბათ ღამეს, ბარე ათი-თორმეტი საკრივო სანახაობა იმართებოდა.

მოკრივენი სხვადასხვა რჯულისანი იყვნენ — თუკი ვინმე ნიჭიერი გამოჩნდებოდა, გზა ხსნილი ჰქონდა. ნიუ-იორკის კრივის ისტორიამ შემოინახა უამრავი ირლანდიელი, ებრაელი, იტალიელი, შავი თუ ესპანელი მოკრივის სახელი, რომელნიც თავიანთ სამშობლოდ ნიუ-იორკს თვლიდნენ, რადგან საკრივო სახელი აქ დაიგდეს.

ნიუ-იორკ-სითის ყველაფერი ჰქონდა: სახელგანთქმული სთილმანის დარბაზი მანჰეტენზე, გლინსონისა ბრონქსში, ბიჩერისა ბრუკლინში. იყო ისტორიული წმ. ნიკოლოზის არენა და დაუვიწყარი ჯეკობს ბიჩი.

ნიუ-იორკს ჰყავდა თავისი კრივზე მწერლებიც: ცნობილი დეიმონ რანონი, რომელიც მესვეტე გახლდათ და ასე ამბობდნენ — არავინ იცის, კრივის ყურება სჯობია, თუ რანონის მიერ აღწერილი ჩხუბის კითხვაო. ახლა „მედისონი"? — მექა სპორტისა და კრივის საუკეთესო ჩხუბების ადგილის და „ტექსის სახლი", სადაც საჩხუბრად გასვლა ლამის ჩემპიონობას უდრიდა! და ნიუ-იორკიც განთქმული იყო იმით, რომ ყველაზე მეტი საჩემპიონო ჩხუბი აქ იმართებოდა.

ზაფხულობით კი ღია ცის ქვეშ კრივობდნენ: „იანკი სტედიუმზე", „პოლო გრაუნდზე", „ებეთს ფილდზე", „ქუინსბორო არენაზე" და სხვაგან.

1938 წლის 22 ივნისს „იანკიზე" 80 000-მა კაცმა უმზირა, როგორ დაანოკაუტა ჯო ლუისმა გერმანელი ჩემპიონი მაქს შმელინგი პირველ რაუნდში. ეს ორწუთიანი შერკინება ისეთი იყო, რომ ხალხს საუკუნე ემახსოვრება და ნიუ-იორკის საუკეთესო ჩხუბადაა აღიარებული.

და დაიწყო დალმასვლა. 50-იანი წლებიდან. კლუბები (რაც შეადგენდა ამ ქალაქში კრივის საყრდენს) იხურებოდა და გამკითხავი არავინ იყო, ტალანტები გზას სცდებოდნენ. აღარავინ ეძებდა მოჩხუბარ ბიჭებს. ვინლა მოძებნიდა, როცა ბოქლომი შეებათ სთილმანის კლუბისთვის და წმ. ნიკოლოზის არენაც მიეკეტათ. კრივის საერთაშორისო კლუბს მაფიოზო-ყაჩაღები აკონტროლებდნენ და ტელევიზიაც აშორებდა ხალხს დარბაზებს.

ყველაფერმა ერთად დაშალა ძველი ნიუ-იორკი: ეკონომიკამ, დემოგრაფიამ და პოლიტიკამ.

ლას-ვეგასის ფულმა კრივი წაართვა მის სამშობლო ქალაქს.

და აი, 11 ივლისს კრივი დაბრუნდა, ხმაურით, მტვრევით, ჯიგრიანად. „მედისონ სქვერმაც" გამოილვიძა.

და რა სჯობია ამას?

## მსოფლიო რაგბის თანავარსკვლავედი

# ლომუს უზრძანებია, კამპო უდიადესიაო

დაირღვა დიდი ხნის დუმილი. ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" ნიჭიერმა გარემარბმა ჯონა ლომუმ ენა ამოიდგა და ავსტრალიის მედიას წვრილად გაანდო გულის ნადები, ესაუბრა რა ოცნებათა, კერპთა და საყვარელი კერძების შესახებ.

ამან მსმენელნი, ცოტა არ იყოს, გააოცა. საქმე ისაა, რომ ამათ აქამდე ლომუ წარმოედგინათ წითელ წიგნში შეტანილ სახეობად, რაკი ნაკრების უფროსები თავს დაჰკანკალებდნენ და ძეხორციელს ახლოსაც არ აკარებდნენ.

დრონი იცვალნენ. ზელანდიელთა ახალ თავკაცს ჯონ ჰართსა სწამს, რომ ლომუს რანგის მოთამაშეებმა საჯაროდ უნდა გამოთქვან ნააზრევი. ჰოდა, მთაკაცმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და ზელანდიისა და ავსტრალიის თამაშის წინა დღით თავისი მომავალი მეტოქის — ბებერი დევიდ ქემფიზის ხოტბა აღავლინა.

ლომუ გამოტყდა,

რომ მისი პირველი მობურთალი კერპები იყვნენ არა მორაგბეები, არამედ ლიგის ავსტრალიელი მოთამაშეები ფილიპანა და მენინგა, რადგანაც ესენი მეტოქეებს გარემო კი არ შემოურბენდნენ, არამედ მათ ლიანგს გაარღვევდნენო;

რომ რაგბში სხვებზე მეტად ეთაყვანება ქემფიზის და მიაჩნია, რომ მისთვის უდიდესი პატივია, იმ მოედანზე რომ უშვებენ, რომელზეც თავად ქემფიზი თამაშობს;

რომ ერთობ უჭირს იმ ლომუ-მანიის გაძლება, მსოფლიოს რომ მოსდებია შარშანდელ მსოფლიო თასზე ჯონას გადასარევი თამაშის გამოისობით;

რომ არ კი უნდა, მაგრამ მაინც იზრდება;

რომ ირევა მდარე საჭმელზე, მის პატივსაცემად გამოშვებული ჯონა-ბურგერის გამო კი ნაკრებში დიდი დავა-კამათი აქვთ გაჩაღებული;

რომ ვერაფრით გაუგია, თუ მის სამხრეთაფრიკელ ცოლს რად უყვარს კლასიკური მუსიკა, როცა თავად რაგაზეა გადარეული; და

რომ გარემარბობაზე ნაკლებად როდი სწყურია რვა ნომრად თამაში.

ამ კითხვა-პასუხის დროს ცხადად წარმოჩნდა ტლუ, გულ-უბრყვილო, კეთილი ბიჭი. მეტადრე მაშინ, როცა ჟურნალისტებს მოუთხრობდა, თუ როგორ უყვარს ჰამბურგერები, ხოლო „მაკდონალდსის" ახალმა ნაწარმმა — ჯონა-ბურგერმა „ოლ ბლექსში" რარიგ ცხარე დებატები გამოიწვია.

თურმე ნუ იტყვით, შუამარბ ფრენკ ბანსს მიაჩნია, რომ ჯონა-ბურგერს მეტისმეტად ბევრი მწვანილი აყრია. სხვები არ ეთანხმებიან და ამტკიცებენ, მაიონეზი უსვია ზედმეტიო, ჯონა კი ყველა ამ კრიტიკოსს პასუხობს, რა გაგიხდათ ეს ჩემი ბურგერი — თუ არ მოგწონთ, ნურც შეჭამთო.

აი, თავად კი თურმე ერთობ ყვარებია „მაკდონალდსის" საჭმელი, მაგრამ დახეთ უბედურებას: მწვრთნელებს შინებიათ, მეტისმეტად არ გაგვისუქდესო და ერთ ჯერზე ორზე მეტის მირთმევას არ ანებებენ, თორემ თუ ნებაზე მიუშვი, ლომუ, მისივე თქმით, რვას მოულებს ბოლოს.

ლომუ უწინდებურად 118 კილოა. როცა ჰკითხეს, შარშანს მერე ხომ არ მოგიმატებიაო, მიუგო, სიგანეში კიო. მართალია, წონა იგივე მაქვს, მაგრამ უფრო ჩავკურატდი. ამას „ოლ ბლექსის" საგარეო კოსტუმის თერძიც იოლად შენიშნავდა — თუ აქამდე 116 სანტიმეტრი მქონდა მხარბეჭის განი, ახლა 132 მაქვსო.

ბუნების წეს-კანონია და ლომუ ჯერაც იზრდება, ლონე ემატება და თავიც უფრო დინჯად და ღირსეულად უჭირავს. უწინ თურმე ვერ ჰგუობდა, ბრბო რომ იცნობდა და მიაწყდებოდა ხოლმე. არც ესმოდა, ამ ხალხს მისგან რა სურდა და ერთბაშადაც გული მოსდიოდა, საყიდლებზე წასულს ცნობისმოყვარეები მანქანის სადგომამდე რომ გამოაცილებდნენ.

აწუხებდა თურმე ისიც, რომ თაყვანისმცემლები მატჩის წინა ღამით სამის ნახევარზე ურეკდნენ და აღვიძებდნენ, მაგრამ მერე ამასაც მიეჩვია, ახლა კი უკვე კიდეც სიამოვნებს, რადგან ესმის, რომ ამგვარი ყოფა სამარადისო სულაც არაა. იმასაც აღიარებს, ბურთაობას რომ შევეშვები, ცხოვრების სრულყოფილად დაჭაშნიკებას მერელა ვაპირებო.

ლომუსთვის უკითხავთ, წვრილშვილს თუ მოეკიდებიო. ამაზე მიუგია, აუცილებლადო, მაგრამ დედამისივით რიცხვმრავალი ოჯახის ყოლა არ სურვებია — ჯონას ხომ ექვსი დაი და ექვსი ძმა ჰყავს!

ვიდრე ცხოვრებას სრულად დაიგემოვნებდეს, ჯონას სარაგბო კარიერის გამრავალფეროვნებაც სწადია — გარემარბობა ვერ აკმაყოფილებს და აცხადებს, თავს უფრო რვა ნომრად წარმომიდგენიაო როცა ჩვენი მორკინალები დაილლებიან, მივალ და დავდგები შერკინების შემკვრელადო. ეს ორმაგად უპრიანია თონშიანი ახალი ზელანდიისთვის, მეტადრე კი ქარიანი ველინგთონისთვის — ფლანგზე რომ შემცივდება, მორკინალებთან მივირბენ და გავთბებიო. აქვე შევნიშნოთ, რომ სკოლაში ჯონა რვა ნომრად თამაშობდა.

ლომუ კმაყოფილია, რომ თამაშს დღითიდღე უკეთ იმეცნებს, გუნდს უკეთესად ეწყობა და დაცვაც ისწავლა. მთაკაცს თურმე აღარ ეშინია, რომ მეტოქე ბურთს ფეხით თავზე გადაუგდებს და მერე ლელოსთან მიასწრებს. ჯონა აცხადებს, გარემარბობა ისე რთული ხელობაა, ბოლომდე ვერასოდეს აითვისებო, მაგრამ ის კი უნდა მოახერხო, რომ შეძლებისდაგვარად ნაკლები შეცდომა დაუშვაო.

დასასრულ ლომუ უმთავრეს მეტოქეს — ავსტრალიელ ქემფიზისაც გადაწვდა და მასზე ერთობ ემოციურად ისაუბრა: უცნობილესი „ვოლაბი" სპორტულ გმირად შერაცხა.

ლომუმ თქვა, რომ ქემფიზის მეურვეობა მისთვის დიდი პატივია. სახუმარო საქმე ხომ არაა: „კამპო" ნაკრებში რომ გამოჩენილა, ჯონა მაშინ 6 წლის ღლაპი იყო, ამდენი ხნის შემდეგ კი ქემფიზი ისევ „ვოლაბებში" თამაშობს და ფორმაშიაო.

ლომუს თურმე კვლავ ტკბილად ახსოვს შარშანდელი აგვისტო, სიდნეის საბურთაო სტადიონი, ქემფიზის სამადლობელი თამაში. იმ დღეს 29 ლელო გავიდა, „კამპოს" მიერ შეკრებილმა მსოფლიო ნაკრებმა კი სასწაული ანგარიშით — 111:76 დაამარცხა „ავსტრალიელი ბარბაროსები". ქემფიზი და ლომუ თანაგუნდელები იყვნენ. ჯონამ სამი ლელო გაიტანა, იუბილარმა — ორი. როგორც მთაკაცმა თქვა, რომ დამჭირვებოდა, ნახევარ მსოფლიოს გადავსერავდი და ამ თამაშზე მაინც ჩავიდოდიო. ის, რასაც ქემფიზიმ რაგბში მიაღწია, ფრიადი მაგალითი და შთაგონების წყაროა უამრავი მოთამაშისათვის, მათ შორის — ჩემთვისაცო.

ასეა! დიდი ჯონასგან ამგვარი რამ რომ მოგვესმინა, ლოდინად უთუოდ ღირდა.

5 ივლისის
„სიდნი მორნინგ ჰეროლდიდან"
გადმოაქართულა

**ლუკა ჯორჯიაშვილმა**



ჯონა ბედნიერი იყო იმით, რომ კამპომ თავის სამადლობელ მატჩზე მიიწვია

## ოლიმპიადისწინა უცხო ხილები



# ლიგა

განხეთქილება გაღრმავდა 13-კაციან ბურთაობაში, რაგბის ალალი ბიძაშვილი რომაა. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ლიგურ საძმოს, მსოფლიო სპორტში საზოგადოდ ერთობ უმნიშვნელო ადგილი რომ უჭირავს, ფაქტობრივად მოუკვეთია საუკეთესო ნაწილი — ავსტრალია, რომელიც ბოლო 20 წელია, მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონია.



ლიგა ორ ბანაკად გაყო და ერთურთს წაჰკიდა მსოფლიო მედიის ავსტრალიელმა ტიტანმა რუპერტ მერდოქმა, ვინაც შარშან აპრილში კალათბურთის ნბა-ს ბადალი ავსტრალიის რაგბის ლიგის (არლ) ათი კლუბისა და 400 უკეთესი მოთამაშის გადაბირება და საკუთარი სუპერ-ლიგის შექმნა მოინდომა. არლ თავიდან დამარცხდა, მაგრამ წლეულს, მარტში, სუპერ-ლიგის სეზონის დაწყების წინ სიდნეის ფედერალურ სასამართლოში მერდოქის ბანდას საქმე მოუგო და ახალი ლიგა 2000 წლამდე დააყადაღებინა, განდგომილი მოთამაშეები და კლუბები კი ძალისძალად დაიბრუნა თავის შეჯიბრში, ოპტუსის თასი რომ ჰქვია.

ამით არლ საერთაშორისო იზოლაციაში მოხვდა. ფეხბურთის ფიფა-ს ლიგური ანალოგი რლიბ ისე სუსტი ორგანიზაციაა, რომ არავინ არაფერს ეკითხება. ჰოდა, მერდოქის ბიჭებმა ამისი უკლებლივ ყველა წევრი შეკრეს, მათ შორის ინგლისიცა და ახალი ზელანდიაც, რომლებიც ავსტრალიის უმთავრესი მეტოქეები იყვნენ.

ამ ზაფხულს ბრიტანელი „ლომები" ტრადიციულად ეწვევიან ზღვისრეთს, მაგრამ ავსტრალიის „კენგურუებს" აღარ ეთამაშებიან. სამგიეროდ, ზელანდიის „კივის" გარდა ეთამაშებიან პაპუასეთის „კუმულებსა" და ფიჯის, რომლის ლიგურ თემშიც ავსტრალიის დარად კინკლაობა ყოფილა გამართული.

არადა, ავსტრალიაში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ დროებითი ზავი ჩამოვარდა. მართალია, მერდოქის ხალხმა მაისში სასამართლოში აპელაცია შეიტანა, ყადაღა აგვხსენითო, მაგრამ მისი განხილვა საშემოდგომოდ გადაიდო. არლ-ის ერთგული და სუპერ-ლიგაში გადასვლის მსურველი მოთამაშეებიც თითქოს შერიგდნენ და მხარდამხარ ითამაშეს დამფუძნებელი შტატების სერიალში, რომელზე მაღალი დონის ლიგის რაგბი ბუნებაში არ არსებობს.

სერიალის შარშანდელი გამარჯვებული ქვინზლენდი იყო, ამიტომ სამ-მატჩა შეჯიბრის პირველი და მესამე თამაშები მის მოედანზე — ბრისბენში დაინიშნა. მიუხედავად ამისა, შარშან 0-3 ძლეულმა ახალმა სამხრეთმა უელსმა მოსისხლეს ორშაბათობით, ორ-ორი კვირის შუალედით გამართული სამივე თამაში მოუგო, რის გამოც ბოლოს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. „ცისფრებმა" 20 მაისს სტუმრად 14:6 მოიგეს, 3 ივნისს, შინ, სიდნეიში 18:6 დაამარცხეს „წითლები", 17 ივნისს კი იმ პრინციპულ თამაშშიც გაიმარჯვეს 15:14 და შარშანდელი შერცხვენისათვის სრულყოფილი რევანში აიღეს.

ზავი ხანმოკლე გამოდგა. რომ დადგა ავსტრალია — ზელანდიის ტრადიციული ტესტ-მატჩების დრო, სუპერ-ლიგის ერთგულმა ზელანდიის ლიგამ როგორც შინ, ასევე არლ-ში მოთამაშე ზელანდიელებს აუკრძალა ამ სერიალში მონაწილეობა. არლ რას გააწყობდა და მაშინ რენეგატებისაგან თავად დააპირა ზელანდიის ნაკრების შედგენა, მაგრამ მაშინ შინაური სუპერლიგელები აუმხედრდნენ და ნაკრებში შეყვანილმა რვა ასეთმა ვარსკვლავმაც ბოიკოტი გამოაცხადა. ესენი ნაკრებიდან კი გარიცხეს, მაგრამ ზელანდიასთან თამაშებიც ჩაიშალა და ახლა არლ იმის იმედადაა, რომ წლის ბოლომდე ოპტუსის თასზე მოთამაშე უცხოელთაგან „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრებს შეაკოწიწებს და ერთგულ „კენგურუებს" მასთან გააჯიბრებს.

ამ შინაომმა სიდნეელთა თვალში ლიგას ერთობ შეულახა იმიჯი. ეს თამაში ამ ქალაქში აქამდე აშკარად ჯაბნიდა როგორც რაგბს, ასევე ავსტრალიურ ბურთაობას. ახლა საქმე სხვაგვარადაა: მობურთალი „სიდნეელი გედები" მეორე ადგილზე არიან და წინისწინა კვირაში სარეკორდო მაყურებელიც მიიზიდეს, რაგბში კი შტატის „ვარათაზი" და ავსტრალიის „ვოლაბები" თუმცა არა ბრწყინავენ, მაგრამ იმავე მერდოქის სპონსორობით ისე გაცხოველებულ საერთაშორისო ორომტრიალში ჩაბმულან, რომ თუ ასე გაგრძელდა, ლიგა სიდნეელებს მალე ალბათ ველარ მიიზიდავს.

**ნიკო ვეფხვაძე**

## მათი ზნე-ჩვეულებები

# თაილანდში სხვანაირი გაგება აქვთ

არა, ძმობილო, ჩვენს არეულ დროში რას აღარ გადააწყდები ქალაქელი კაცი.

ამ სამი კვირის წინ (და არა „უკან", როგორც წამხდარი ხალხი ამბობს ულტრა-თანამედროვე ქართულად!) ყოვლისმცოდნე „ასოშიეითედ პრესმა" ვრცლად გაარჩია თაილანდის ფრენბურთში დატრიალებული დრამა.

გინდ დაიჯერეთ და გინდა არა, მაგრამ ამ ქვეყნის ვაჟთა ჩემპიონატი მოუგია ლამპანგის პროვინციის გუნდს, რომელიც ერთიანად ტრანსვესტიტებისგან შედგება.

ეს ის ხალხია, ვინც თუმც კაცად დაბადებულა, ქალობა სურს. ასეთები პლასტიკური ოპერაციებით მკერდს იდიდებენ, ქალურად იცვამენ, ფერ-უმარილს იცხებენ და ყოველდღიურ ცხოვრებაში კაცებს ეარშიყებიან. ერთი სიტყვით, ჩვენებურად რომა ვთქვათ, თუმც კულტურულად ტრანსვესტიტები ჰქვიათ, მაგრამ ნაღდი პედერასტები არიან.

აფერუმ თაილანდის ვაჟთა ფრენბურთის დონეს, თუ ამ არაკაცთა გუნდია უძლიერესი! ეს კიდევ რაა, ჩემპიონის ორ მოთამაშეს — 32 წლის კაბარეს მოცეკვავეს, სახელად პიცანუს და 24 წლის ექსბიბლიოთეკარ დანუპოლს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა სურვებიათ და ერთობაც გაგულისებულან, მწვრთნელს მათი კანდიდატურა რომ არც კი განუხილავს.

ეს პედერასტები თავს დამცირებულად გრძნობენ, აქაო და სასქესო ორგანოების ოპერაცია ჯერ არ გაგვიკეთებია, კაცები ვართ და ვაჟთა ნაკრებიდან რა უფლებით გვითხოვენო. ესაო და დისკრიმინაციას აქვს ადგილიო. ამის პასუხად თაილანდის ფრენბურთის დიდ-მოხელეს, ვისაც ინკოგნიტოდ დარჩენა უსურვია, „ასოშიეითედ პრესისთვის" უთქვამს, ეგენი რომ ნაკრებში ავიყვანოთ, ჩვენი ნორჩი ბიჭები მთლად წახდებიან, რადგან პიცანუ და დანუპოლი შეცდენას დაუპირებენო.

ასე კია, მაგრამ თაილანდის საზოგადოებრიობა თურმე მაინც სამპათიებითაა განწყობილი ამ არა-კაცებისადმი. ლამპანგის გუნდი უპოპულარულესი ყოფილა და სულ ახლახანს ორი ახალი სპონსორიც გაუჩენია.

**თენგიზ არტამონოვი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29